საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 22 თებერვალი. 2023 წ. №21 (9553) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ბორის აკუნინი:

პუტინისთვის უკრაინაში შეჭრა უკანასკნელი თამაში იქნება!



„საოცარია, რომ რუსეთი, რომელსაც ჰქავდა გენიალური მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, მაინც ვერ გახდა ვინმესთვის მისაბაძი“

იხ. 4 გვ.

ბერნი სანდერსი:

ოლიგარქები მართავენ რუსეთს... ოლიგარქები მართავენ აშშ-საც

ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა „გარდიანი“ ინტერვიუს 81 წლის ამერიკელ სენატორთან, ბერნი სანდერსთან, რომლის თქმითაც, დღეს მსოფლიოში გლობალური ოლიგარქიაა. ინტერვიუ მისი ახალი წიგნის, „კაპიტალიზმზე გაბრაზება ნორმალურიას“ გარშემო წარიმართა.

„დიახ, რა თქმა უნდა, ოლიგარქები მართავენ რუსეთს. თუმცა, იცით რა, ოლგარქები მართავენ აშშ-საც. და არამხოლოდ აშშ-ს, არამხოლოდ რუსეთს. ევროპაში, გაერთიანებულ სამეფოში, მთელ მსოფლიოში ჩვენ ვხედავთ წარმოუდგენლად მდიდარი ადამიანების მცირე რიცხვს, რომლებიც რაღაცას თავიანთ სასარგებლოდ აკეთებენ. გლობალური ოლიგარქია. ამ საკითხზე საუბარი საჭირო“, – აცხადებს სანდერსი.

მისი თქმით, სურს, იყოს ოლიგარქების კუთვნილი ამერიკული მედიის ანტიდოტი, რომელიც დააფიქრებდა მის აუდიტორიას და ისაუბრებდა ნებისმიერ რამეზე, ცნობადი სახეების, ბეისბოლისა და ბოლოდროინდელი „გამოღვიძების“ მიმის გარდა, რაც ასუსტებს კონტროლს პოლიტიკასა და ეკონომიკაზე.

აღსანიშნავია, რომ ბერნი სანდერსი ცოტა ხნის წინ გახდა სენატის ჯანდაცვის, განათლების, შრომისა და საპენსიო კომიტეტის თავმჯდომარე, სადაც მან უკვე დაიბარა „მოდერნას“ აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც, სანდერსის მტკიცებით, „მულტიმილიარდერი გახდა“ მთავრობის მიერ დაფინანსებული, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნით. კომიტეტში დაიბარეს „სთარმაქსის“ აღმასრულებელი დირექტორი ჰოვარდ შულციც და ვარაუდობენ, რომ სენატის მოსმენაზე მიწვევა მიუვა „ამაზონის“ დამფუძნებელ ჯეფ ბეზოსსაც.

დიმიტრი ხუნდაძე:

საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა რუსეთუმეობა ყოფილა!

2

ვახტანგ მაისაია: МГИМО-ში იდეოლოგიურად საკმაოდ სერიოზულად გამოზრდილი კადრები გამოჰყავთ და, გუნებრივია, ისინი ხდებიან გავლენის აგენტები

5

გივი გავარდაშვილი:

ინოვაციური მეცნიერება ქვეყნის სამსახურში

იხ. 6-7 გვ.

გარემოს დაცვა, ჰიდრომელიორაცია, უსაფრთხოება

3

კობა ყალიჩავა:

„მცოდნე პირთა“ წვლილი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემუშავებაში

„ხალხის ძალა“ გაბრაზდა და ამერიკული ვარიანტი აირჩია!

2

ეროვნული ფილმი

7

მოსახლეობას პროდუქტების სიძვირე ახრჩობს!!!

ირაკლი ღარიბაშვილი: 1. ანაკლიის პორტის მშენებლობა წელსვე დაიწყება!

დღეს დავიწყებთ ოფიციალურ მოქმედებას, რომელიც უკავშირდება ანაკლიის პორტის მშენებლობას, პორტის მშენებლობა წელსვე დაიწყება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 20 თებერვლის სხდომაზე განაცხადა. როგორც ცნობილია, პორტის 51% სახელმწიფოს კუთვნილება იქნება, 49 %-ზე საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება, თუმცა, ინვესტორის შემოსვლას არ დაელოდება მთავრობა და სამუშაოები წელსვე დაიწყება. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურად გრძელდება გზების, მაგისტრალების მშენებლობა და აეროპორტის გაფართოებისა და სხვა კონცეფციებზე მუშაობა.

2. უმუშევრობისა და სიღარიბის დონე ისტორიულ მინიმუმზეა!

– გოლო ინფორმაცია, რაც გამოქვეყნდა სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, უმუშევრობის დონე არის ისტორიულ მინიმუმზე. შემცირდა უმუშევრობა, ასევე სიღარიბე არის ისტორიულ მინიმუმზე. თქვენ ნახეთ, გაეცანით გოლო მონაცემებს, რომ ვაჭრობა არის გაზრდილი, ყველა მიმართულებით გვაქვს პოზიტიური დინამიკა, ეკონომიკის ზრდა, ველოდებით იანვრის მონაცემებს, წინასწარი ინფორმაციით, რომელიც მაქვს ფინანსთა სამინისტროდან, თუმცა, რა თქმა უნდა, სამოლოო ინფორმაციას უნდა დაველოდოთ სტატისტიკის სამსახურიდან, საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა იქნება იანვარში. ზოგადად, დინამიკა, რაც იკვეთება, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, რომ წელსაც გვქონდეს მაღალი ეკონომიკური ზრდა. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა, დასაქმება, მეტი სამუშაო ადგილები. ასევე გეტყვით, რომ უმუშევართა რაოდენობაც არის შემცირებული როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. ქალაქად და სოფლად, ყველგან არის შემცირებული უმუშევრობა. ეს არის ისტორიული მინიმუმი...

– კიდევ ერთხელ მინდა ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პოლიტიკას. ყველაფერი უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ჩვენ რომ სხვა ნაბიჯები გადაგვედგა, კარგად გვესმის, რომ საერთოდ არავითარ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე საუბარი არ იქნებოდა. ვიმყოფებოდი მიუნხენში, მოგეხსენებათ. ნახეთ, რომ ძალიან რთული ვითარებაა, გამოსავალი არ ჩანს, არ იციან, როდის დასრულდება უკრაინაში ომი. საერთოდ, გამოსავალი არ ჩანს ამ სიტუაციაში. ასე რომ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა და იმ ინტერესების გატარება, რომლებიც მხოლოდ ჩვენს ხალხს და ქვეყანას სჭირდება. ეს არის ჩემი მთავარი სათქმელი!..

3. ფასები უნდა შემცირდეს!..

...საკითხი ეხება ჩემ მიერ ორი კვირის წინ გაცემულ დავალებას, რომელიც შეეხებოდა სურსათისა და საწვავის ფასებს. ამის თაობაზე არაერთი შეხვედრა გაიმართა. ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები იყვნენ აქტიურად ჩართული. კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობა მთლიანადაა ჩართული ამ პროცესში. ძალიან ბევრი შეხვედრა გაიმართა როგორც იმპორტიორებთან, ისე დიდ ქსელებთან, „რითეილის“ მფლობელებთან. მინდა კიდევ ერთხელ ავუხსნა ჩვენს ხალხს და საზოგადოებას, – სურათი, რომელიც გამოიკვეთა არის შემდეგი, რომ ის ინფორმაცია, რაც მე გავაჟღერე, ანუ ჯამურად, საერთო შეწონილი, გამოდის ისე, რომ ფასნამატი არის 70, 80, ზოგ შემთხვევებში 100%-ით გაზრდილი და, რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი. ამიტომ, ჩვენ ახლა დავიწყეთ აქტიური მუშაობა, თუ როგორ დარეგულირდეს ეს საკითხი.

ჩვენ მოვისმინეთ ასევე იმპორტიორების განმარტებები, რომ აქედან, 70-80-%-იდან, მათი მოგება არ არის, არამედ, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია რითეილის, ანუ ამ დიდი ქსელების ერთგვარ წესებზე, რომლებიც არის მათ მიერ განსაზღვრული და სწორედ ამ წესებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს სერიოზული, ლეგიტიმური კითხვები. ეს წესები არ არის აპრობირებული, ევროპაში ასეთი წესები არ მოქმედებს, ეს საკითხი არის დარეგულირებული ევროკავშირის, ევროპის ქვეყნებში, ზოგადად, მთელ დასავლურ სამყაროში.

...ჩემი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო ახლა მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. ამიტომ, ჩვენ პარალელურად გავაგრძელებთ მუშაობას იმპორტიორებთან, ასევე, დიდი ქსელების წარმომადგენლებთან და, პარალელურად, ჩვენ ასევე წარვუდგენთ ამ კანონპროექტს პარლამენტს, და მინდა გამოვთქვა იმედი, რომ პარლამენტის მხრიდან მზაობა იქნება, და ეს დაადასტურეს, და მხარს დაგვიჭერს, რომ ევროდირექტივა, ეს რეგულაციები შემოვიღოთ ჩვენც. სხვანაირად უხეში იქნება ჩვენი მხრიდან ხელოვნური ჩარევა რომ განვახორციელოთ. ამიტომ, გამოვნახეთ გზა, რომ ისეთი პრაქტიკა, რომელიც ევროპამ უკვე გაიარა, ჩვენც გადმოვიტანოთ ჩვენს ქვეყანაში. ამით, რეალურად, სამართლიანი წესები დაწესდება. იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე რითეილს ექნება თავისი განსაზღვრული წესები. ეს არის გამოსავალი, რაც ამ მოკლე ორკვირიანი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაგონივრული, მაღალი მარჟებით არ იყოდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება. ინფლაციაზე როცა ვსაუბრობთ, ინფლაციის გასული თვის მაჩვენებელი იყო 9,4%. აქედან 6,1% არის სურსათის ფასები. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც კი დარეგულირდება ეს საკითხები, და ეს შეიძლება ძალიან მალე მოხდეს, ინფლაციაც ჩამოვა იმ ნიშნულზე, რომელიც ჩვენ გვაქვს განსაზღვრული, 5% ამ წლის განმავლობაში!

კახა კალაძე: მეგობრობა და პარტნიორობა უნდა იყოს ორმხრივი

დედაქალაქის მერი კახა კალაძე უკრაინასა და უკრაინელ ხალხს მშვიდობას უსურვებს და აცხადებს, რომ ორივე ქვეყნისთვის ტერიტორიული მთლიანობა მნიშვნელოვანი საკითხია.

როგორც კალაძემ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განმარტა, უბედურება, რაც უკრაინაში ხდება, საქართველოსაც აქვს გავლილი.

„ძალიან ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ უკრაინას, უკრაინელ ხალხს მინდა, ვუსურვო მშვიდობა. ძალიან დიდი უბედურებაა, რაც უკრაინაში ხდება. სამწუხაროდ, ჩვენ გამოვლილი და გამოცდილი გვაქვს საკუთარ თავზე, ქვეყანაზე ეს უბედურება და ვიცით, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. როგორც ჩვენთვის, ასევე უკრაინისთვის, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ძალიან მნიშვნელოვანია“, – აღნიშნა კახა კალაძემ. რაც შეეხება ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, თბილისის მერმა განაცხადა, რომ მეგობრობა და პარტნიორობა ორმხრივი უნდა იყოს.**„ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მეგობრობა, პარტნიორობა ვერ იქნება ცალმხრივი. ეს უნდა იყოს ორმხრივი. გულდასაწყვეტია, რომ გაუგებარი მიზეზებით, თუნდაც ავიღოთ ელჩის გაწვევა, არანაირი ახსნა-განმარტება არ მოჰყოლია, რასთან იყო ეს ყველაფერი დაკავშირებული. კიდევ ერთხელ მინდა, მშვიდობა ვუსურვო უკრაინასა და უკრაინელ ხალხს“,** – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

დიმიტრი ხუნდაძე: საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა რუსეთუმეობა ყოფილა!

...ის, რომ რთული ვითარებაა მთელ მსოფლიოში, სადავო აღარავისთვის არის. სულ ახლახან პანდემიამ გატესტა მსოფლიო, ახლა ომისა და მშვიდობის ტესტი გვაქვს ჩასაბარებელი.

ის, რომ ოკუპაცია, აგრესია და სამხედრო ინტერვენცია მიუღებელია, ამაზე ყველა ვთანხმდებით. მშვიდობას რომ ალტერნატივა არ აქვს, მიუნხენის სამიტზე ისაუბრა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა. იქაც და აქაც მისმა განაცხადმა ყური მოსჭრა ბევრს, მაგრამ მერწმუნეთ, სულ ცოტა ხანში სხვა ლიდერებიც მივლენ იმ დასკვნამდე, რომ შეიარაღებაზე ზრუნვას, მშვიდობის უზრუნველსაყოფად თითოეულის შენატანი სჯობს.

ამ ომმა ნათლად აჩვენა წარსულის შეცდომებიც და რეალური ზრახვებიც, შიგნით თუ გარეთ. ვის რისი მიზანი აქვს და ვინ რისთვის იბრძვის, ვინ ვის რისთვის სჭირდება და ვინ ვისთვის რას იმეტებს, ზედაპირზე დევს. 2008 წელს მოჰყვა 2014. დასავლეთმა ესეც „გაატარა“ და დღეს მთელი უკრაინა კვამლშია გახვეული.

ნატოშიც და ევროკავშირშიც „ღიაა კარები“, მაგრამ ჩვენ ისევ კარებს მიღმა ვდგავართ. ამ ლოდინში კი ტერიტორიების 20% დავკარგეთ. მაშინაც ვიომეთ, მაგრამ არავისთვის ჩვენს ომში ჩართვა არ გვითხოვია. არც სანქციებით მოუკლავს თავი მსოფლიოს. სამაგიეროდ, ახლა გვთხოვენ ომსაც და სანქციებსაც. თუ დღეს კიდევ ვინმეს აქვს კითხვა – „ვინ გვთხოვს?“, საქმე კიდევ უარესად ყოფილა. 12-პუნქტიანი დავალების შესრულება დაგვაკისრეს და რადგან სამ კანდიდატს შორის ყველაზე უკეთ შევასრულეთ ეს დავალება, მას ულტიმატუმი მოჰყვა – ლავმუსის ქაღალდი თურმე მიხეილ სააკაშვილია, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ვენდეტის მსხვერპლი ყოფილა და მეტი ბრალი მას არ აქვს. ამას გვეუბნება, არც მეტი და არც ნაკლები, ევროპარლამენტი, სადაც ექვსი პარლამენტარი კორუფციის ბრალდებით უკვე დაკავებულია, ორზე ძიება მიმდინარეობს და ევროკომისიის პრეზიდენტზე სერიოზული კითხვები აქვთ, მისი წევრები კი გვეუბნებიან, „ჩვენი წესებით თუ არ ითამაშეთ, კარები დაიხურებაო“.

მიხეილ საკაშვილი, რომელსაც ბევრი სიცოცხლის ვალი აქვს, თურმე დემოკრატიის შუქურაა, ხოლო ბიძინა ივანიშვილს პირადი ფინანსები უნდა დაუმლოკონ, რომ მეტი ქველმოქმედება ვერ შეძლოს. საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა რუსეთუმეობა ყოფილა და გამჭვირვალობა-დემოკრატია – საფრთხე. იმას, რასაც დასავლეთი საკუთარი უსაფრთხოებისთვის დიდი ხანია იყენებს, საქართველოსთვის კატეგორიულად მიუღებელია.

მოკლედ, ომმა ყველაფერი ნათლად წარმოაჩინა – წარსულიც და დღევანდელობაც, მომავალი კი ბუნდოვანია. რუსეთი უფრო აგრესიულად, ევროპა კი დეპრესიულად გამოიყურება და შეცდომას შეცდომაზე უშვებს. სამწუხაროა, რომ მსოფლიო და მათ შორის ევროპა გარკვეულ საკითხებში არა განვითარების გზით, არამედ დაღმასვლით მიდის. ორმაგი სტანდარტები ყოველდღიური მოხმარების იარაღად იქცა. უფრო მტკივნეულია ის ფაქტი, რომ ეს ეხება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა დემოკრატიული პრინციპები. იმ დროს, როდესაც ქართველი ხალხი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია, ვიხილეთ ყველაზე უსამართლო, არაევროპული ევროპა. როდესაც ჩვენი ახალგაზრდები იმედით შეჰყურებენ ევროპულ პერსპექტივას, ამ დროს ევროპელი დეპუტატები მათ იმედებს ანადგურებენ.

ევროკავშირი თავისი დაარსების დღიდან პირველად დადგა ასეთი გამოცდის წინაშე და პირველადვე ვერ გაუძლო. ეს უფრო ღრმა დეპრესიას ჰგავს, რომლისგანაც თავის დაღწევა ძალიან რთულია, თუმცა შესაძლებელი, მხოლოდ არა მსგავსი სამარცხვინო რეზოლუციებით და ორმაგი სტანდარტებით, არამედ საკუთარი ღირსების წარმოჩინებით და დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულებით. მინდა მჯეროდეს, რომ ევროპა შეძლებს ძველი ღირებულებების დაბრუნებას და სხვა სახელმწიფოებთან სამართლიანობაზე დაფუძნებულ პარტნიორობას, წინაღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მისგანაც მოუწევს თავის დაცვა, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

„ხალხის ძალა“ გაბრაზდა და ამერიკული ვარიანტი აირჩია!

ჩვენ მიერ ახალი კანონპროექტის წარდგენის შემდეგ მალევე განვაცხადეთ, რომ თუკი იქნებოდა სპეკულაციები, წარვადგენდით ალტერნატიულ, სუფთა ამერიკულ კანონს. აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, დავაინიციროთ ახალი ალტერნატიული კანონპროექტი უცხოური აგენტის რეგისტრაციის აქტის შესახებ, რომელიც არის ამერიკულის ანალოგი. გავაკეთებთ პირდაპირ თარგმანს და დავაინიცირებთ კანონს, ამისთვის დაგვჭირდება 1-2 დღე, – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ ლიდერმა, დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა.

„თავიდან, როდესაც გადავწყვიტეთ, ამ შინაარსის კანონი წარგვედგინა, ჩვენ გავაცანით ის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს. ამ შეხვედრას ესწრებოდა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეც. თავიდანვე გვქონდა შეთავაზება, რომ პარლამენტისთვის წარგვედგინა ამერიკული ვარიანტის პირდაპირი ანალოგი, მაგრამ მათ შემოგვთავაზეს, განგვეხილა უფრო ლიბერალური კანონი. მივიღეთ მათი შემოთავაზება და ავიღეთ უფრო ლიბერალური ვარიანტი. ჯერ არ დაწყებულა საკომიტეტო განხილვები, მაგრამ, სამაგიეროდ, დაიწყო აქტიური ისტერიული სპეკულაცია ამის გარშემო, რომ თითქოს ეს არის რუსული კანონპროექტის ანალოგი, რასთანაც არაფერი საერთო არ აქვს.

არავითარი აკრძალვის მექანიზმები ჩვენს მიერ ინიცირებულ ქართულ ვარიანტში არ იკითხება. შიში და სპეკულაციები არის აბსოლუტურად უსაფუძვლო; ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, წარმოვადგინოთ ამერიკული ვარიანტი, ნათარგმნი ერთი-ერთში“!

გოლო პერიოდში გევრი დაიწერა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, რომლებშიც გაანალიზებულია საქართველოს პირველი კონსტიტუციის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. ასეთი დიდი ინტერესის მიუხედავად, მცირე ინფორმაცია არსებობს პირველი კონსტიტუციის ტექსტის შემუშავების პროცესში ცალკეული ადამიანების მონაწილეობის თაობაზე. მართალია, ზოგიერთი ავტორის მიერ ხაზგასმულია კონსტიტუციის ტექსტის შექმნაში „მცოდნე პირთა“ მონაწილეობის თაობაზე, თუმცა უმეტესად მათი როლი მაინც არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ამიტომ ამ საკითხზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება აუცილებელია.



კანონშემოქმედების საქმეში ცალკეული პერსონების როლი დღევანდელობისთვისაც არ არის უცხო. როგორც ცნობილია, საქართველოს უახლოეს პერიოდშიც სწორედ კონკრეტული ადამიანების მონაწილეობით იქმნებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, როგორიცაა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები და სხვ. სპეციალისტების ჩართულობის გარეშე, ცხადია, მხოლოდ ისტორიული წინაპირობა და პოლიტიკური ნება ვერ იქნებოდა საკმარისი რადიკალური ცვლილებებისათვის.

ამჯერად, საარქივო მასალების კვლევის საფუძველზე მინდა წარმოვაჩინო პროფ. **გიორგი ნანეიშვილისა** და **კონსტანტინე მიქელაძის**, როგორც „მცოდნე პირების“, როლი საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემუშავების საქმეში. ამავე დროს, საკონსტიტუციო კომისიაში მათი მუშაობის ამმავი ნათლად გვიჩვენებს ზოგადად დოკუმენტის შექმნის სხვა მნიშვნელოვან დეტალებს, იმას, თუ რა პრინციპით ყალიბდებოდა ცალკეული თავები და მუხლები, რა სახის დისკუსიები იმართებოდა კომისიის წევრებს შორის, როგორ მიიღებოდა გადაწყვეტილება და ა.შ., რაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

„მცოდნე პირთა“ წვლილი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემუშავებაში

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მნიშვნელობის შესახებ

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ქართველის ერის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. საყოველთაოდაც აღიარებულია, რომ „იმდროინდელი კონსტიტუციის ტექსტი ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული იყო ევროპის კონტინენტზე. უკვე მაშინ აღიარებდა იგი ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა.“ ამავე დროს, კონსტიტუციის ავტორებმა მოახერხეს, მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის განვითარების მდიდარი პრაქტიკა „...იშვიათი სისადავით შეეთავსებინათ ქართველი ერის კულტურასთან, მის ტრადიციებთან და შეექმნათ ნამდვილი ეროვნული კონსტიტუცია“.

პირველი კონსტიტუციის შექმნის ფაქტი იმთავითვე უაღრესად დიდ ისტორიულ მოვლენად იყო მიჩნეული. დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: „ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება ჩქარა მივცეთ ხალხს კონსტიტუცია. ეს მისთვის საჭიროა, ეს არის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი მის ხელში, რომლის დახმარებითაც ის გაიკაფავს თავის გზას, რომლითაც ის უზრუნველყოფს თავის დამოუკიდებლობასა და მომავალს“. პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, გააზრებული იყო ასევე დოკუმენტის წმინდა იურიდიული მნიშვნელობა. დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის პ. საყვარელიძის მიერ წარმოთქმული მოსაზრება ამის ნათელი მაგალითია. მისი თქმით, „კონსტიტუცია არის უმაღლესი, ხელშეუხებელი კანონი და არ შეიძლება ისეთი კანონის გამოქვეყნება, რომელიც მის დედააზრს ეწინააღმდეგება. ყველა მორიდებით უნდა ეპყრობოდეს კონსტიტუციას, ყველას უნდა ჰქონდეს შიში მისი დარღვევისათვის და სჯისა, რადგან დაუშვებელია უმაღლესი კანონის დარღვევა. აქ ხალხის გარანტიაა, ხალხი გაიგებს, რომ მის მატონობას ხელს ვერავინ ახლებს“.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ მხოლოდ 4 დღე იმოქმედა, მან განსაზღვრა მომავალში ჩვენი ქვეყნის განვითარების ორიენტირი და, ალბათ, ისტორიული ბედისწერაც. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წლის 21 თებერვალს პირველი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები სამოქმედოდ იქნა შემოღებული, რომელმაც, მართალია, ასევე მოკლე ხანს იმოქმედა, თუმცა მისი მოკლეხნიანი „გაცოცხლებით“ საქართველოს დემოკრატიზაციის ნებისმიერი სახის სურვილი და ამ პროცესების წამოწყება სამუდამოდ დაუკავშირდა პირველი კონსტიტუციის სახელს. ამის მყარი ფიქსაცია კი 1995 წლის დღეს მოქმედ კონსტიტუციაში მოხდა, რომელიც სწორედ „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობისა ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით“ იქნა გამოცხადებული.

საკონსტიტუციო კომისიების შექმნა

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება უზრუნველყო საკონსტიტუციო კომისიამ, რომელიც ორჯერ შეიქმნა – პირველი ეროვნული საბჭოს, ხოლო მეორე დამფუძნებელი კრების მიერ. პირველი საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა 1918 წლის 6 ივნისს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შესადგენად“. კომისიამ მუშაობა მეორე დღესვე დაიწყო. პირველ კრებას ხელმძღვანელობდა ნ. ჟორდანია, სადაც საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ს. ჯაფარიძე, ხოლო მდივნად პ. საყვარელიძე. მეორე საკონსტიტუციო კომისიის შექმნის საჭიროება 1919 წლის 12 მარტიდან გაჩნდა, როდესაც არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება, რომელმაც, თავის მხრივ, იმავე თვის 18 რიცხვში ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისიის ახალი შემადგენლობა.

საკონსტიტუციო კომისიებში „მცოდნე პირთა“ მოწვევა

როგორც ეროვნული საბჭოს, ისე დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ე.წ. „მცოდნე პირები“, რომლებიც არქივში დაცულ ჩანაწერებში ზოგჯერ „დამხმარე პირთა“ სახელითაც არიან მოხსენიებული. საარქივო მასალებში გამოყენებული ორივე ტერმინი, მისი შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, დღევანდელი გაგებით შეიძლება გავუთანაბროთ ტერმინ „ექსპერტს“ ან „მოწვეულ ექსპერტს“.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის პირველსავე სხდომას, გარდა მისი ოფიციალური წევრებისა, ესწრებოდნენ საგანგებოდ მოწვეული „მცოდნე პირები“ - ივ. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი და ი. გამბაროვი. თუმცა ირკვევა, რომ ამ ადამიანებს კომისიის შემდგომ მუშაობაში არ მიუღიათ მონაწილეობა. საკონსტიტუციო კომისიამ „მცოდნე პირების“ მორიგი მოწვევის საკითხი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გადაწყვიტა. კომისიის 1918 წლის 6 ივლისის დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ „მოწვეულ იქნენ კომისიის სხდომებზე დასასწრებად მცოდნე პირები: გიორგი ნანეიშვილი, ლაზარე შურღაია, ივანე ზურაბიშვილი, იური ფაღავა.“ მათგანაც ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში აქტიურად მხოლოდ გიორგი ნანეიშვილი ჩაერთო. ამიტომ მოგვიანებით, კომისიის 1918 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე პ. საყვარელიძემ წარმოადგინა წინადადება საკონსტიტუციო კომისიაში დამხმარე წევრად „მცოდნე“ კონსტანტინე მიქელაძის (მაშინდელი გზათა სამინისტროს იურისკონსულტი) მოწვევის შესახებ, რომელსაც კონსტიტუციის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულებები გამოთქმული ჰქონდა მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“. ეს უკანასკნელიც აქტიურად ჩაერთო კომისიის მუშაობაში.

გიორგი ნანეიშვილისა და კონსტანტინე მიქელაძის აქტიური მუშაობის გამო, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის წინაშეც დაისვა მათი ხელმეორედ მოწვევის საკითხი. ეს წინადადება 1919 წლის 26 მარტს კომისიის სხდომაზე შემოიტანა პ. საყვარელიძემ. კომისიამ მოიწონა წინადადება და დაადგინა, რომ „მოწვეულ იქნენ ბ-ნი გ. ნანეიშვილი და კ. მიქელაძე, როგორც დამხმარე წევრები სათათბირო ხმით და გაეგზავნოთ მოსაწვევი ბარათები“. მართალია, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ თავიდან დაიწყო კომისიის თითოეულ თავზე მუშაობა, თუმცა მემკვიდრეობით მან ბევრი მიიღო ეროვნული საბჭოს კომისიისაგან, ერთი მხრივ, კონსტიტუციის უკვე შემუშავებული დებულებების, ხოლო, მეორე მხრივ, გ. ნანეიშვილისა და კ. მიქელაძის კომისიის შემადგენლობაში კვლავ მოწვევის თვალსაზრისით.

კობა ყალიჩავა,
სამართლის დოქტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.

(დასასრული მორიგ ნომერში)

◎ რეპლიკა

„ცოლი მთხოვა და ვერ მივეც...“

დღე იწყება და მთავრდება იმის მარჩიელობით მოგვცემენ, თუ არა კანდიდატის სტატუსს. ლამისაა, ეს გახდა, ქვეყნის უპირველესი მიზანი და საზრუნავი, პოლიტიკური ძიძგილაობის თემა. ხალხი დაიღალა.

ასევე როგორც ადამიანების, ოჯახების, ქვეყნების მეგობრობა ემყარება ურთიერთსიმპათიებს და პატივისცემას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრებაც უნდა მოხდეს მიპატიუებით, მიწვევით. ეს არ უნდა იყოს მოწყალება და წინასწარი პირობების შესრულების შედეგი. „ვერ მიიღებთ სტატუსს, თუ არ ითამაშებთ ჩვენი წესებითო“! – გვმოძღვრავს ვიღაც კუბილიუსი – „სახალხო პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პათოლოგიური მოძულე, „დემოკრატიის შუქურას“ მეხოტბე.

საქართველოს თავისი უკომპრომისო პოზიცია მაშინ უნდა გამოეხატა, როდესაც ჩვენ მოლდავეთი-უკრაინიდან უტაქტოდ გამოგვყვეს და საშემოდგომო გამოცდები დაგვინიშნეს. ბოლოს და ბოლოს, საუკუნეები ვიცხოვრეთ ევროკავშირის გარეშე, მსოფლიოს 180-მდე ქვეყანა დღესაც არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ არსებობენ, ვითარდებიან და ცხოვრობენ, შეიძლება უკეთესადაც კი, ვინემ ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

ჩვენი ქვეყანა მიზანდასახულად ვითარდება დემოკრატიის გზით, არა კუბილიუსების დასანახად, არამედ ეს ქვეყანას სჭირდება, ჩვენ ბევრ რამეს ვუწევთ ანგარიშს თანაარსებობის ინტერესებისთვის, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი ეროვნული ინტერესების ხარჯზე. არსებობს წითელი ხაზები. გავიხსენოთ ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი შედევრი „შემომეყარა ყივჩაღი“ – „ცოლი მთხოვა და ვერ მივეც...“



ვახტანგ დავითაია

ირაკლი კობახიძე: ხაბეიშვილი უკვე ხვდება, რომ ფორმალური თავმჯდომარეა!

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყველას თავისი ინტერესი აქვს, რაც ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია.

„იქ შიდა დაპირისპირებაა. ყველას თავისი ინტერესი აქვს. სააკაშვილს თავისი ინტერესი აქვს, კეზერაშვილს თავისი, ხაბეიშვილს თავისი ინტერესი და ეს ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. მაგალითად, ხაბეიშვილი უკვე თანდათან ხვდება, რომ არის ფორმალური თავმჯდომარე და იბრძოლებს, რათა მეტი ავტონომია ჰქონდეს კეზერაშვილისგან, რომელიც მისი დამფინანსებელი და მისი უფროსია ან მერაბიშვილისგან მიიღოს მეტი ავტონომია და ასე შემდეგ. ახლა დიდი რესურსი აქვს ხაბეიშვილს, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ შიდა დაპირისპირებები აუცილებლად კიდევ უფრო გაღრმავდება. ცალკეა სააკაშვილის ინტერესები. აქ არის სრული კოლიზია. ანუ ყველას თავისი სუბიექტური ინტერესები აქვს, ერთმანეთს ჭამენ და ეს პროცესი გაგრძელდება, რაც კარგია, რადგან ეს ასუსტებს „ნაციონალურ მოძრაობას“...



ბორის აკუნინი:

პუტინისთვის უკრაინაში შეჭრა უკანასკნელი თამაში იქნება!

პუტინმა რუსეთი დააბულინგა. ამდენად, პუტინი რუსეთის „მთავარი ბულერია“, რომლისთვისაც უკრაინაში შეჭრა უკანასკნელი თამაში იქნება. რუსები და რუსეთი ტოქსიკური გახდა მთელი მსოფლიოსთვის, იმდენად, რომ ლამის რუსებს სახეში ფურთხება დაუწყონ.

„საოცარია, რომ რუსეთი, რომელსაც ჰყავდა გენიალური მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, მაინც ვერ გახდა ვინმესთვის მისაბაძი“

რუსეთი დაპყრობილია ბანდიტების ერთი დაჯგუფების მიერ და ტყვეობაშია, დატყვევებული რუსეთის გარდა კი არსებობს მეორე, ნამდვილი რუსეთი, რომელიც ცოცხალია, იბრძვის და ერთხელაც გადააგდებს ამ დანაშაულებრივ რეჟიმს, რომელიც ტყუილსა და შიშზე დგას.

ხშირად რუსების კლასიფიკაციისას ცდილობენ წარმოაჩინონ, თითქოს არსებობს ორი რუსეთი – კეთილი და გოროტი. ამ საკითხს განსაკუთრებით მწერლები უღრმავდებიან. ქართული წარმომავლობის რუსი მწერალი **გორის აკუნინი (გრიგორი ჩხარტიშვილი)** დარწმუნებულია, რომ რუსეთი დაპყრობილია ბანდიტების ერთი დაჯგუფების მიერ და ტყვეობაშია, დატყვევებული რუსეთის გარდა კი არსებობს მეორე, ნამდვილი რუსეთი, რომელიც ცოცხალია, იბრძვის და ერთხელაც გადააგდებს ამ დანაშაულებრივ რეჟიმს, რომელიც ტყუილსა და შიშზე დგას.

ბორის აკუნინი თვლის, რომ **პუტინმა რუსეთი დააბულინგა. ამდენად, პუტინი რუსეთის „მთავარი ბულერია“, რომლისთვისაც უკრაინაში შეჭრა უკანასკნელი თამაში იქნება.**

ასეთი თამამი შეხედულებების გამო ბორის აკუნინი უმალვე მოხვდა „ხალხის მტრების“ სიაში, „ხალხის მტრების“ სიის ავტორი კი, როგორც წესი, ანონიმურია. აღნიშნულ სიაში მოხვედრა გრიგორი ჩხარტიშვილს არ აღარდებს, მისი ლიტერატურული ფსევდონიმი ხომ „აკუნინია“, რომელიც იაპონურად „ცუდ კაცს“ ნიშნავს, არა იმიტომ, რომ ბორის აკუნინი თავს ცუდ კაცად მიიჩნევს, არამედ იმიტომ, რომ ცუდ ტიპებზე წერს, რომელთა გარეშეც ცხოვრება უინტერესო იქნებოდა.

დღეს ბორის აკუნინი თვლის, რომ **რუსები და რუსეთი ტოქსიკური გახდა მთელი მსოფლიოსთვის, იმდენად, რომ ლამის რუსებს სახეში ფურთხება დაუწყონ.**

რობორ დააღწევენ რუსები თავს ტოქსიკურობას? პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ, საერთოდ, რუსეთი განსაკუთრებული თემაა, რუსეთს ჰყავდა გენიოსები, ჯერ კიდევ 1945 წელს ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა და პოლიტოლოგმა **ჯორჯ კენანმა** თავის „გრძელ დეპეშაში“ დაწერა, „საოცარია, რომ რუსეთი, რომელსაც ჰყავდა გენიალური მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, პოეტები, მაინც ვერ გახდა ვინმესთვის მისაბაძი, რომ ვინმეს უნდოდეს, რუსი გახდეს. არ არსებობს ასეთი ადამიანი“.

„მარტო ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ უდრის ნახევარი ევროპის ლიტერატურას, მაგრამ მე თვითონაც გამომიცდია რუსების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. ნახევარი ცხოვრება მოსკოვში მაქვს გატარებული, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად მიწევდა აფრიკის ქვეყნებში საელჩოებში მიღებებზე ყოფნა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ინგლისის ყოფილ კოლონიებში (კენია, უგანდა) იქაურებისთვის ინგლისელი იყო ღმერთი, ყველაფერში გაძავდნენ ინგლისელს. ჩემი ერთი რუსი მეგობარი მეუბნებოდა კენიის ელჩთან საუბრის დროს, კენიის ელჩს მიმართე „სერ“ და ნახე, როგორი ნასიამოვნები დაგრჩებაო. მართლაც, „სერ“ რომ მივმართე, კენიის ელჩს სახე გაებადრა. მაგრამ მსოფლიოში არავის უნდა, რუსს მიბაძოს და რუსი იყოს. ნახევარი მსოფლიო მაქვს შემოვლილი, უბრალოდ, ამერიკაში არ ვარ ნამყოფი, ინგლისში ვყოფილვარ, ყველგან ერთნაირად სძულდათ რუსები და ერთნაირად უყვარდათ ინგლისელები, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ მსოფლიოში ინგლისელებს კოლონიები ჰქონდათ“, – თქვა სოსო ცინცაძემ.

მანვე განმარტა, რომ დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრი ყოფილი კოლონიის წარმომადგენელია და ეს ბევრ რამეს ნიშნავს. ინგლისელები გაცილებით კულტურულები, თავაზიანები არიან, ინგლისში თანასწორობაა.

პოლიტოლოგი ეგვიპტელი მეგობრის ნათქვამსაც იხსენებს, რომელიც იმ პერიოდში ლუმუმბას უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მოგვიანებით უკვე ეგვიპტეში ყველაზე დიდი გაზეთის – „ალ აჰლამის“ მთავარ რედაქტორად მუშაობდა და მის მიმართ რუსების არაკორექტულ დამოკიდებულებას განიცდიდა, ის ამბობდა, რუსი სტუდენტები ხელს რომ მართმევენ, მერე ჩუმად ვხედავ, ხელსახოცს იღებენ და ხელს იწმენდენო. აფრიკელების მიმართ რუსებს ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ. ამას ინგლისელი არასოდეს არ გააკეთებდა.

„პირადად მეც რამდენჯერ დამინახავს, რუსები აფრიკელს ხელს რომ ჩამოართმევდნენ, შარვალზე გაისმევდნენ, რადგან აფრიკელებს ხელი სულ სველი აქვთ, ინგლისელი კი ამას არ აგრძნობინებს აფრიკელს, რასიზმი მის გუნებაში არ არის“, – მიიჩნევს სოსო ცინცაძე.

პოლიტოლოგ **თამარ კიკნაძის** შეფასებით, არიან ლიბერალი რუსები, რომლებიც ვერ ეგუებიან პუტინის რეჟიმს და ქვეყნის გარეთ არიან გასულნი. რუსეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა კი დერეფავიკული, იმპერიული რუსეთის მომხრეა. პოლიტოლოგის აზრით, გადასარევი სტატია აქვს **ტომ გრემს,** რომელიც არის „Kissinger Associates“ აღმასრულებელი დირექტორი, ის კარგად აანალიზებს პუტინის ფენომენს და ამბობს, რომ პუტინი გამოხატავს თავისი ხალხის ინტერესს და ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ პუტინი თუ არ იქნება, მოვა ისეთი პიროვნება, რომელიც სხვა სახის ლიდერი, ანუ ლიბერალური ლიდერი იქნება.

„რუსეთშიც არსებობენ განსხვავებული პოზიციების მქონე ადამიანები, ეს ისტორიულად რუსეთს ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ ამას თქვენ ვერ ნახავთ დასავლეთში, დასავლეთს აქვს ასეთი ფორმულირება: „My Country is always right country“, რაც არ უნდა გააკეთოს მან. თუმცა ახლა დასავლეთშიც ღირებულებები შეცვლილია და არეულია ყველაფერი“, – აცხადებს თამარ კიკნაძე.

მანანა ნოზაძე

ჯო ბაიდენი: პუტინი ფიქრობდა, რომ უკრაინა იყო სუსტი, დასავლეთი კი – გაყოფილი... ერთი წლის შემდეგ მტკიცებულება არის აქ, ამ ოთახში...

უკრაინელმა ხალხმა აჩვენა ის, რაც მანამდე ისტორიის განმავლობაში ცოტამ აჩვენა, – ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა კიევში, უკრაინის პრეზიდენტთან, ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრაზე განაცხადა.

„უკრაინელმა ხალხმა აჩვენა ის, რაც მანამდე ისტორიის განმავლობაში ცოტამ აჩვენა. მიუხედავად იმ აზრთა სხვადასხვაობისა, რაც კონგრესში გვაქვს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი შეთანხმება უკრაინის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ უკრაინის თავისუფლებაზე, ვსაუბრობთ თავისუფლებასა და დემოკრატიაზე უფრო ფართო მასშტაბით“, – განაცხადა ჯო ბაიდენმა. მისი თქმით, პუტინი ფიქრობდა, რომ უკრაინა იყო სუსტი, დასავლეთი კი – გაყოფილი.

„პუტინი ფიქრობდა, რომ ჩვენ გაგვიძლებდა. არ მგონია, რომ ახლაც იმავეს ფიქრობდეს. ის, უბრალოდ, შეცდა. ერთი წლის შემდეგ მტკიცებულება არის აქ, ამ ოთახში. ჩვენ აქ ერთად ვდგავართ“, – აღნიშნა ჯო ბაიდენმა.

ბელადომანია, საბჭოური სენი

ვახტანგ მაისაია: МГИМО-ში იდეოლოგიურად საკმაოდ სერიოზულად გამოზრდილი კადრები გამოჰყავთ და, გუნებრივია, ისინი ხდებიან გავლენის აგენტები



პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ყველა დიპლომატი გაათავისუფლეს, ვისაც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი მგიმო ჰქონდა დამთავრებული. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ზბიგნევ რაშმის განცხადებით, გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინ იქნა მიღებული და დაკავშირებულია იმასთან, რომ МГИМО-ს მუშაობა იყო ინვესტიცია რუსული იმპერიალიზმის მუშაობაში და საბჭოთა რბილი ძალის ნაწილი, ხოლო აღნიშნული დაწესებულების კურსდამთავრებულები იძულებული იყვნენ რუსეთის იმპერიის საქმისთვის ემსახურათ.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ ეს პრობლემა დგას საქართველოშიც, თუმცა არ არის დარწმუნებული, რომ პოლონეთის მსგავსად საქართველოს ხელისუფლება МГИМО-ს კურსდამთავრებულებს აუკრძალავს პოლიტიკური საქმიანობას.

– ბატონო ვახტანგ, როგორ თქვენ, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი МГИМО-ს დამთავრება ავტომატურად ნიშნავს, რომ რუსეთის სადაზვერვო სამსახურთან ხარ კავშირში?

– არა, რა თქმა უნდა. **МГИМО**-ს საკმად მაღალი რეპუტაცია აქვს. ეს არ არის ნაკლიანი სასწავლო დაწესებულება. პირიქით, საკმაოდ მაღალი რენომე აქვს, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მაღალი დონის სპეციალისტებს ამზადებენ. მაგრამ აქ არის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი – ისე ასწავლიან, რომ იდეოლოგიურად საკმაოდ სერიოზულად გამოზრდილი კადრები გამოჰყავთ და გუნებრივია, ისინი ხდებიან გავლენის აგენტები.

– ანუ, ერთგვარი რბილი ძალა იქმნება ამ ჯგუფისგან?

– რა თქმა უნდა. გევრი **МГИМО**-დან მოხვდნენ პირდაპირ სპეცსამსახურებში. გუნებრივია, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს, მაგრამ ეს ყველაფერი ერთად ქმნის იმას, რომ ეს არის იდეოლოგიზირებული საკმაოდ გამოკვეთილი გაერთიანება, რომელიც ქმნის პრეცედენტს, რომ ესენი იყვნენ როგორც გავლენის აგენტები.

– პოლონეთმა ეს გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ МГИМО-ს კურსდამთავრებულები იძულებული იყვნენ რუსული იმპერიის საქმისთვის ემსახურათ. ერთი შეხედვით, სწორია პოლონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, ერთგვარი თავის დაზღვევა არის, მაგრამ მოტივი, რატომაც აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა, რამდენად სწორი არგუმენტია და ამავე დროს თუ არის მტკიცებულებებით გამყარებული?

– გევრი ვიცი, რომლებიც მართლა საკუთარი ქვეყნის პატრიოტები არიან. უცხოელები, რომლებმაც დაამთავრეს **МГИМО** საკმაოდ ძლიერი სპეციალისტები არიან და ემსახურებიან თავის ქვეყანას. რაც შეეხება პოლონეთის ხელისუფების გადაწყვეტილებას, ეს, ალბათ, არის პოლიტიკური პოზიცია და პოლიტიკურ კონტექსშია აყვანილი. შეიძლება ადამიანს არავინ ერჩის, მაგრამ ეს არის პოლონეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსი, რომ არც ერთი **МГИМО**-ს კურსდამთავრებული არ გაიკარონ სახელმწიფო და თანამდებობის ნუსხაში, იმიტომ, რომ მათზე ზემოქმედება შეიძლება იყოს მაღალი და ა.შ. კი, შეიძლება დისკრიმინაციაც არის, მაგრამ ეს არის კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

საბჭოური მანია რა იყო – ეს იყო საბჭოთა ლიდერების, ხელისუფლებების ბელადომანია. ჯერ იყო ლენინი, მერე ტროცკი, სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი და გორბაჩოვი. რა განსხვავებაა დღევანდელ „ნაცმოძრაობასა“ და მათ სატელევიზიო პროპაგანდისტულ არხებს შორის? ბელადომანია სენია, ეს არის საბჭოთა მანია და მეტი არაფერი.

– პოლონეთის ამ გადაწყვეტილებას შესაძლოა ავტომატურად მოჰყვეს სხვა ქვეყნების მხრიდანაც ანალოგიური გადაწყვეტილება და რამდენად სწორი იქნება უკრაინის ომის ფონზე МГИМО კუსდამთავრებულების ამ ფორმით დევნა?

– ეს წესი პოლონეთში მოქმედებდა, მაგრამ უკრაინის ომის შემდეგ აიყვანეს პოლიტიკურ დონეზე. შესაბამისად, გუნებრივია, რომ შეიძლება მას მიბაძონ სხვა სახელმწიფოებმაც. მაგალითად, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა... უნგრეთი, ალბათ, ნაკლებად, მაგრამ სხვა სახელმწიფოები, ალბათ, განახორციელებენ ამას, რადგან დღეს, გარკვეულწილად, ამ ქვეყნების წინაშე დგას რუსული რბილი ძალის პრობლემა და იგივე **МГИМО**-ების მხრიდან.

– ეს პრობლემა დგას საქართველოს შემთხვევაში და აღმოჩნდა, რომ ძალიან გევრი გვყოლია ასეთი – სია დიდია. ჩვენ ვართ ოკუპირებული სახელმწიფო, ყველაზე მოწყვლადი ქვეყანა ვართ სპეცსამსახურების მუშაობის თვალსაზრისით, ჩვენს შემთხვევაში, რამდენად პრობლემურია რბილი ძალის მოქმედება და მით უმეტეს, რომ ჩვენ გვყავს ოპოზიცია, რომელიც МГИМО-ებით არიან დაკომპლექტებული და რომლებიც ორიენტირებული არიან ქუჩის პროცესებზე, ანუ დესტაბილიზაციაზე, რაც რუსული რბილი ძალის ერთ-ერთი ხელწერაა?

– გეთანხმებით, გუნებრივია, საქართველოში უფრო მწავავედ არის დასმული ეს საკითხი, ვიდრე ეს აღმოსავლეთ ცენტრალურ ქვეყნებშია. ჩვენ უფრო მეტი გავლენის ქვეშ ვართ და გუნებრივია, უფრო დიდია ჩვენზე ზეწოლა. იმიტომ, რომ ისინი იყვნენ საბჭოთა გავლენის ქვეშ, ჩვენ ვიყავით საბჭოთა კავშირის უშუალო ჭანჭიკი, განსხვავება დიდია. სამწუხაროდ, ჩვენთან მოსახლეობის გარკვეულ ფენაში ჯერ კიდევ რჩება ეს ცნობიერება. აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ უფრო მოწყვლადი ვართ და ეს ჩანს ღიად.

МГИМО-ს კადრია იგივე გრიგოლ ვაშაძე, რომელიც რუსეთის მოქალაქეა და მოღვაწეობდა რუსეთში და იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. ავიღოთ ვანო მერაბიშვილი, მართალია, იგი **МГИМО**-ს კურსდამთავრებული არ არის, მაგრამ მან გაიარა საკმაოდ სერიოზული საბჭოთა კაგებეს სკოლა, ხოშტარია და ა.შ. ყველანი იყვნენ პრორუსული ფლანგი წინა ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე **МГИМО**-ს კადრია. მან, მართალია, კიევში დაამთავრა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. მოსკოვში **МГИМО**-ში არ შეუშვეს და კიევში ჩაამზარებინეს. ისიც **МГИМО**-ს ფილიალი იყო. კიევს და ბელარუსს ფორმალურად გაეროში ჰყავდათ თავისი წარმომადგენელი, ანუ დიპლომატიური კორპუსი ჰყავდათ არაფორმალურად.

ამიტომ, ჩვენს შემთხვევაში ლუსტრაციის ნაწილში გადასახედია ეს საკითხი. ჩვენ ვხედავთ, რომ **МГИМО**-ს კურსდამთავრებულები გამოირჩევიან აგრესიულობით, ატარებენ პრორუსულ პოლიტიკას, რაც აშკარად შეიმჩნევა. მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ამ მხრივ ნაბიჯი გადაიდგას, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს პრობლემა არანაკლებ სერიოზულად დგას საქართველოს შეთხვევაში.

დავანებოთ თავი **МГИМО**-ს, ვნახოთ როგორ იმართება ტელევიზიები. როცა მათ ვუყურებ, საბჭოთა კავშირი მახსენდება. ოპოზიციური არხები ეს არის კლასიკური საბჭოთა ტელევიზიის ანარეკლი. ნახეთ როგორ პროპაგანდისტული საინფორმაციო გამოშვებები აქვთ – საბჭოთა „ვრემიას“ იდენტურია. ესეც ხომ ადასტურებს, რომ ეს ადამიანები საბჭოთა სენით – ბელადომანიით არიან დაავადებული. საბჭოური მანია რა იყო – ეს იყო საბჭოთა ლიდერების, ხელისუფლებების ბელადომანია. ჯერ იყო ლენინი, მერე ტროცკი, სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი და გორბაჩოვი. რა განსხვავებაა დღევანდელ „ნაცმოძრაობასა“ და მათ სატელევიზიო პროპაგანდისტულ არხებს შორის? ბელადომანია სენია, ეს არის საბჭოთა მანია და მეტი არაფერი.

სამწუხაროდ, ორივე ფლანგზე სერიოზული პრობლემაა და ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ასეა. ვანო მერაბიშვილის და მისი ამფსონების მოსვლა ოპოზიციაში არის კლასიკური რუსული ვარიანტი, რომელსაც სწორედ რუსები უკეთებენ „პრომოუშენს“. შეგახსენებთ, რომ როცა მერაბიშვილმა დაპატიმრების სუნი შეიგრძნო, ყალბი პასპორტით გარბოდა რუსეთის მოკავშირე სომხეთში, ანუ რუსეთში გარბოდა. უამრავი მტკიცებულებაა, რაც ადასტურებს მერაბიშვილის კავშირს რუსეთთან. რუსებიც, გუნებრივია, რომ კარგ მასკიროვკას აკეთებენ.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ვოლოდიმირ ზელენსკი: სწორედ უკრაინაში წყდება მსოფლიო წესრიგის ბედი

ზელენსკიმ კიევში ჯო ბაიდენის ვიზიტის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ უკრაინასა და აშშ-ის შორის მოკავშირეობა მშვიდობას აძლიერებს.

„სწორედ ახლა და სწორედ უკრაინაში წყდება წესებზე, ჰუმანურობაზე, პროგნოზირებულობაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის ბედი. პრეზიდენტ ბაიდენთან ვისაუბრეთ, კერძოდ, იმაზე, თუ როგორ გავაკეთოთ უკვე მიმდინარე წელს ყველაფერი რუსეთის მიერ დაწყებულ ომში ჩვენი საერთო გამარჯვებისთვის. ეს ომი ცხრა წლის წინ დაიწყო, ფართომასშტაბიანი ომი კი გასული წლის თებერვლიდან მიმდინარეობს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სწორედ ამ წელს შესაძლებელი იყოს, დაესვას წერტილი რუსეთის აგრესიას, გათავისუფლდეს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები და როგორც ჩვენმა სახელმწიფომ, ისე ევროპის ყველა ერმა, რომლებსაც თავისუფლად და მშვიდობიანად ცხოვრება სურთ, მიიღონ უსაფრთხოების საიმედო გარანტიები. ამისთვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯები ცნობილია. საჭირო მხოლოდ სიმტკიცე. დღეს მე დავინახე პრეზიდენტ ბაიდენის და ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი სიმტკიცე“, – განაცხადა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის ხელისუფლებას სამხედრო დახმარების ახალი პაკეტისთვის, რომელიც, მისი თქმით, გააძლიერებს ფრონტის წინა ხაზზე მყოფ უკრაინელ სამხედროებს. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, უკრაინა მუშაობს შორ მანძილზე მოქმედი და სხვა სახის შეიარაღების მომარაგებისთვის.

საქართველოში ბოლო დროს კლიმატის ცვლილებამ გააააქტიურა ბუნების სტიქიური მოვლენები, განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარეების – არაგვის, ალაზნის, ენგურის და რიონის წყალშემკრები აუზები, სადაც გარდა იმისა, რომ სტიქიას მოაქვს ფართობების დაგბორვა, დიდი ნგრევა და ეკონომიკური ზარალი, ადგილი აქვს აგრეთვე ადამიანთა მსხვერპლსაც. სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გივი გავარდაშვილს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა, მუშაობს ინოვაციური მეცნიერული საკითხების სრულყოფაზე.

ინოვაციური მეცნიერება ქვეყნის სამსახურში

გარემოს დაცვა, ჰიდრომელიორაცია, უსაფრთხოება

– გატონო გივი, გთხოვთ, ჩვენს მკითხველს გააცნოთ თქვენი და თქვენი ინსტიტუტის მეცნიერული მუშაობის მიმართულებები.

– სპეციალობით ვარ ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1987 წელს დავიცავი საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო 1996 წელს კი სადოქტორო და მომენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება, 1998 წლიდან ვარ პროფესორი, 2022 წლიდან კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. ვმუშაობ 1929 წელს დაფუძნებულ სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ უძველეს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორად, რომელსაც მომავალ, 2024 წელს დაარსებიდან 95 წლისთავი უსრულდება. ჩემი ხელმძღვანელობით ინსტიტუტი თანამშრომლობს მსოფლიოს 33 ქვეყნის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

– მეცნიერულ კვლევებზე უფრო კონკრეტულად გვითხარით, თუ შეიძლება...

– ვმუშაობთ ჩვენი ქვეყნისთვის ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებზე, როგორიც არის წყლისა და ნიადაგის რესურსების ინტეგრირებული მართვა, წყალთა მეურნეობის და გარემოს დაცვის უსაფრთხოების ინოვაციური ღონისძიებების კვლევა კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით და ჰიდრომელიორაციის მეცნიერული საკითხების სრულყოფაზე თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით და ყველაზე მთავარი და პრიორიტეტული – ჩვენი ქვეყნისათვის ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდა.

ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟი მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში (2022 წ. 8 ოქტომბერი)

– თქვენი ინსტიტუტი სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი უძველესიაო, მრძანეთ!..

– დიახ, ჩვენი ინსტიტუტი, როგორც გითხარით, ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციაა, რომელშიც მოღვაწეობდნენ მსოფლიო დონის ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები ცოტნე მირცხულავა და ოთარ ნათიშვილი, ორივე გახლდათ ჩემი მასწავლებელი, პროფესორები მიხეილ გაგოშიძე, ფრიდონ შატბერაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე (ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი), იოსებ ბუაჩიძე (ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი 1958-1973 წწ), პეტრე მამრაძე (უფროსი), ვახტანგ თევზაძე, ნინა ვარრაზაშვილი და ა.შ. ჩვენი ინსტიტუტი, შეიძლება ითქვას, არის სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და მელიორაციის მიმართულებების კვლევების ყველაზე უძველესი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია – ალმა მატერი.

– დღეს უმთავრესია გარემოს დაცვის პრობლემები. ამ მიმართულებით მკითხველს ძალიან აინტერესებს თქვენი ინოვაციური პროექტები.

– ინსტიტუტში 2018-2022 წლებში დამუშავდა საგრანტო პროექტი (#FR17-615) მოწყვლადი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკების შეფასება მოსალოდნელი კატასტროფების ფორმირებისას (დამფინანსებელი შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი). პროექტში დამუშავებულია ჟინვალის მიწის კაშხლის შესაძლო ავარიის შემთხვევაში მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხები. კერძოდ, მდგრადობისა და მართვის რისკების ჩარჩოს ჩამოყალიბება კრიტიკული მდგომარეობისა და რისკების პორტფოლიოს ანალიზის (CAPRA) მოდელის (რომელიც ითვალისწინებს ყველა მოსალოდნელი რისკის რაოდენობრივ შეფასებას), გამოცდას და დანერგვას. ინსტიტუტსა და მერილენდის უნივერსიტეტთან (აშშ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი იყო პროფესორი ბილალ აიუბი, ხოლო საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი კი მე გახლდით.

– ეს იყო პირველი ინოვაციური პროექტი?

– ჩვენს ქვეყანაში პირველად 2018 წელს შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა ინოვაციური გამოყენებით საგრანტო პროექტების კონკურსი, რომელიც ითვალისწინებდა სამეცნიერო კონსორციუმების შექმნას არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. ჩვენ შევქმენით ასეთი კონსორციუმი: სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი (წამყვანი ორგანიზაცია), გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსის ორგანიზაცია ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრი და შ.პ.ს. – გარემოს დაცვის გეოლოგიური სააგენტო (ი.ჯ.ეი). ჩვენმა კონსორციუმმა გაიმარჯვა და დაფინანსდა საგრანტო პროექტი AR-18-1244 – „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟი“ (საქართველოს პატენტი #P 20207068B).

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია პროფესორი ედუარდ კუხალაშვილი, ხოლო კოორდინატორი გივი გავარდაშვილი. საგრანტო პროექტის ფარგლებში სხვა ამოცანებთან ერთად გათვალისწინებული იყო სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების მომზადება და ინოვაციური კონსტრუქციის შუნებაში მოწყობა. ეს ამოცანები წარმატებით გადაწყდა, კერძოდ 2022 წლის 22-23 თებერვალს სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტზე ინსტიტუტის თანამშრომლებმა ქეთი დადიანმა, ხათუნა კიკნაძემ, ნანა ბერაიამ და ლიკა მაისაიამ წარმატებით დაიცვეს სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომები და მათ მიენიჭათ დოქტორის აკადემიური ხარისხი მშენებლობაში. უნდა ითქვას, რომ ერთი საგრანტო პროექტით 4 სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და მისი საჯარო დაცვა საქართველოში პირველად განხორციელდა და ესეც გახლავთ ინოვაცია.

რაც შეეხება თვითონ „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟის“ მოწყობას შუნებაში, ის განხორციელდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო მლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში (ზღვის დონიდან 1620 მეტრი), რომელიც არა მარტო შეამცირებს ღვარცოფების დამანგრეველ მოქმედებას ზემო და ქვემო მლეთის სოფლებში, ასევე მინიმუმამდე დაიყვანს ღვარცოფების დამანგრეველი მოქმედებების რისკებს მლეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე.

აქვე გვინდა დიდი მადლობა გამოვუცხადოთ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორს ბატონ დავით ნოზაძეს და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს ქ-ონ მანანა (მაცაცო) ნარიმანიძეს და სოფელ ქვემო მლეთის ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის თანხმობისა და მხარდაჭერის გარეშე ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟის საცდელ-საექსპერიმენტო ნაგებობა ვერ აშენდებოდა.

შემდეგი ინოვაციური პროექტი, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ 2021-2022 წლებში ეს გახლავთ შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით და მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტი CARYS-19-305 – „თოვლის ზვავის საწინააღმდეგო ინოვაციური კომპლექსური ღონისძიება (საქართველოს პატენტი #278). პროექტი ვერ განხორციელდებოდა, თუ არა ბ-ნი დავით ნოზაძისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ ბაკურ ავსაჯანიშვილის გულისხმიერება. საქართველოს სამხედრო გზის თოვლის ზვავების ზემოქმედებისაგან უსაფრთხოების მიზნით გუდაურის მიმდებარე ტერიტორიაზე მთის ფერდობის ალპურ ზონაში ზღვის დონიდან 2338 მეტრზე ავაშენეთ თოვლის ზვავის საწინააღმდეგო ინოვაციური კონსტრუქცია.

– ბატონო გივი, ჰიდრომელიორაციის მიმართულებით რას გვეტყოდით?!

– სამტრედიის რაიონის სოფელ დიდჯიხაიშში სტუ-ს აგრარული კოლეჯის ბაზაზე ჭარმტენიანი ნიადაგების დაშრობის მიზნით მოვაწყვეთ სამიარუსიანი კომბინირებული ინოვაციური დრენაჟის სამეცნიერო-სასწავლო სტენდი სამეცნიერო საგრანტო პროექტებისა და სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით. სტუ-ს დოქტორანტმა მაკა გუგუჩიამ აღნიშნულ სტენდზე ექსპერიმენტების ჩატარების გამოყენებით წარმატებით დაიცვა სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი.

– თქვენ ინოვაციური ტექნოლოგიებიც შეიმუშავეთ, მაგალითად „ბეტონის ტილოს“ პრაქტიკული გამოყენებისთვის...

– 2022 წლის 24 აგვისტოს სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „ინოვაციური ტექნოლოგიების – ბეტონის ტილოს გამოყენება წყალთა მეურნეობაში, გარემოს დაცვასა და ჰიდრომელიორაციაში. პრეზენტაციით წარდგნენ ილდარ იამალიევი (ბეტონის ტილოს კომპანიის დირექტორი) და იან ვუდკოკი (ბეტონის ტილოს კომპანიის თანადამფუძნებელი), ინგლისი. სამეცნიერო სემინარის შემდეგ ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში გაიმართა ბეტონის ტილოს პრაქტიკული გამოყენების მაგალითი.

– ორიოდე სიტყვით მოგვითხრეთ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე

– ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ მსოფლიოში ცნობილ ისეთ გამოცემებთან როგორიც არის „LAMBERT“ გერმანია და Cambridge Scholars Publishing“ ინგლისი. 2019-2021 წლებში გამომცემლობამ „LAMBERT“ დასტამბა თანაავტორობით (ედუარდ კუხალაშვილი, შორენა კუპრეიშვილი და ნანა ბერაია) შექმნილი მონოგრაფია – „Expected Risks of Cohesive Debris Flows and Fighting Against Them“ in eight foreign languages“ (English, Spanish, Dutch, Italian, French, German, Polish and Portuguese“), ხოლო 2022 წელს გამომცემლობა „Cambridge Scholars Publishing“ დასტამბა ჩემი მონოგრაფია „Predicting Erosive and Debris Flow Processes and the Innovative Measures to Control Them“ (ინგლისურ ენაზე), რომელიც ამჟამად იყიდება ამაზონზე. აი მისი ლინკიც

https://www.cambridgescholars.com/product/978-1-5275-8482-2?fbclid=IwAR2b596YKJsbj-JZ_LBHwjIJCS1md8U3ecXBRwYS-88T1lxVpw5xwHqEZMA

თოვლის ზვავის საწინააღმდეგო ინოვაციური კონსტრუქცია (2021 წ.)

ინსტიტუტის მეცნიერებთან თანაავტორობით (ირინე იორდანიშვილი, ინგა ირემაშვილი და კოტე იორდანიშვილი) პირველად ჩვენს ქვეყანაში გამოვეცით ჰიდროსაინჟინრო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022, ფორმატი A4, 371 გვ.).

ნაშრომი ეძღვნება სტუ-ის 100 წლისთავს.

სტუ-ის რექტორთან პროფესორ დავით გურგენიძესთან თანაავტორობით 2022 წელს საგამომცემლო სახლმა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ გამოსცა მონოგრაფია „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვის ეკოლოგიურ-ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, თბილისი, 2022, 230 გვ., რომელიც სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის სამაგიდო სახელმძღვანელო შეიძლება გახდეს.

ასევე, მონოგრაფია ეძღვნება სტუ-ის 100 წლისთავს.

მანამდე კი სტუ-ს სტუდენტებისთვის გამოვეცი სახელმძღვანელო – „ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018, ფორმატი B5, 471 გვ.) ფერადი ილუსტრაციებით, რომელიც მომზადებულია თანამედროვე ინოვაციური მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით.

– თქვენი ინსტიტუტის მომავალზე, 2023 წლის გეგმებზე რას გვეტყოდით?

– ინსტიტუტმა მსოფლიოს 6 ქვეყნის (აშშ, საქართველო, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი) უნივერსიტეტებთან ერთად მოამზადა NATO-ს საგრანტო პროექტი, პროექტის დირექტორია კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ველოდებით ინფორმაციას პროექტის დაფინანსების შესახებ. პროექტი ეხება შავი ზღვის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და კიბერშეტევების წინააღმდეგ ციფრული მოდელების დამუშავებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ პირველად ჩვენს ქვეყანაში პროექტით იგეგმება განხორციელდეს შავი ზღვის კვლევის მეცნიერული ობსერვატორია, რომელიც იმუშავებს NATO-ს სტანდარტების გათვალისწინებით.

სამიარუსიანი ქომბინირებული დრენაჟის მშენებლობისას

ასევე დავამუშავეთ პროექტი „ბუნების სტიქიური მოვლენების რისკების გამოთვლის ინოვაციური მეთოდები“ და წარვადგინეთ ევროში. ველოდებით პასუხს ნიუ-იორკიდან ამ გაზაფხულზე.

* * *

ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უკვე გადავიდა ევროსტანდარტების დონეზე, რასაც მიუთითებს ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, კერძოდ ჩვენ უკვე შევიძინეთ დრონები, მაღალი სიზუსტის GPS და ინსტიტუტის ორ საკვლევ სამეცნიერო ბაზაზე ქ. ფოთში და გორის რაიონის სოფელ კარალეთში დავამონტაჟეთ ევრო სტანდარტების დონის მინიმეტეოსადგურები, რომლებიც ყოველ 1 სთ-ში ონლაინ რეჟიმში გვაწვდიან თბილისში მეტეოკლიმატურ მონაცემებს. ასევე ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში აქტიურად მიმდინარეობს ღვარცოფსაწინააღმდეგო ინოვაციური ნაგებობისა (სამეცნიერო ხელმძღვანელები: გ. გავარდაშვილი და პროფესორი ე. კუხალაშვილი) და ზღვის ტალღების მსხვილმასშტაბიანი ლაბორატორიული მოდელირება, სამეცნიერო კვლევები ხორციელდება შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის („მთის წყალსაცავების საინჟინრო-ეკოლოგიური თავისებურებების სისტემური ანალიზი“, #FR-21-2942) დაფინანსებით, ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის ზღვებისა და წყალსაცავების კვლევის განყოფილების გამგე ირინე იორდანიშვილი და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი კონსტანტინე იორდანიშვილი.

ასე რომ, ჩვენი ინსტიტუტი, რომელშიც მუშაობს 80-მდე მეცნიერ-თანამშრომელი და, სადაც 50% მეტი მეცნიერია და რომელსაც გააჩნია – უნიკალური ჰიდროტექნიკური ლაბორატორია, რომელიც დაჯილდოებულია შვეიცარიის დიპლომით „Century International Quality Era Award“ და საქართველოს 5 რეგიონში (ქ. ფოთი, გორის რაიონის სოფელი კარალეთი, დუშეთის რაიონის სოფელი არახვეთი, გარდაბნის რაიონის სოფელი გამარჯვება და სიღნაღის რაიონის სოფელი ხორნაბუჯი) აქვს სამეცნიერო-კვლევითი ეკოლოგიური ბაზები, აქტიურად არის ჩართული საქართველოში ინოვაციური მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში.

– გმადლობთ. გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა
რუსუდან ქოგულია

ბუნების რისკებს

თურქეთისა და სირიის სასაზღვრო რეგიონში 6 თებერვლის გამთენიისას მომხდარი 7,8 მაგნიტუდის ინტენსივობის მიწისძვრის შედეგად, ბოლო მონაცემებით, ორივე ქვეყანაში 45 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მთლიანად სტიქიის მძვინვარების არეალში მოჰყვა და დაზარალდა 23 მილიონზე მეტი კაცი, ერთიანად დანგრეულია ასეულობით დაბა და ქალაქი, სადაც ფაქტობრივად არც ერთი დაუზიანებელი შენობა არ დარჩა. პირველ ბიძგებს მომდევნო საათებში კიდევ რამდენიმე ათეული მეორადი, ეგრეთ წოდებული აფტერშოკი მოჰყვა. თავად ქანების რყევა კი დაახლოებით 5 წუთს გრძელდებოდა. მიწისძვრა კურილის კუნძულებიდან მოყოლებული, ვიდრე არგენტინის სამხრეთამდე – მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც იგრძნობოდა. 17 თებერვალს კი, ხმელთაშუაზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ფსკერიდან 10 კილომეტრის სიღრმეზე, კიდევ ერთი ძლიერი, 5,1 მაგნიტუდის ინტენსივობის მიწისძვრა მოხდა, რომლის შედეგად თურქეთსა და სირიაში 6 თებერვლის მიწისძვრის მერე ისედაც ნაწილობრივ დაზიანებული ათეულობით შენობა ბოლომდე ჩამოიშალა.კიდევ ერთი მძლავრი ბიძგი 20 თებერვალსაც განმეორდა.

როგორც ცნობილია, მომხდარი უბედურების ზონის ათ პროვინციაში თურქეთის ხელისუფლებამ სამთვიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. იქ ამჟამად უმძიმესი ვითარება სუფევს – ღამე ჰაერის ტემპერატურა ზოგჯერ ცელსიუსის – 15 გრადუსამდეც კი ეცემა, ბევრი ადამიანი კვლავაც შენობების ნანგრევების ქვეშ რჩება, თუმცა კი მათი ცოცხლად ამოყვანის ალბათობა ფაქტობრივად, აღარ არის. მეტიც: გავრცელებული ინფორმაციით, ზოგან უკვე გვამების გახრწნის დამახასიათებელი სუნიც კი გაჩნდა, რაც სხვადასხვა ეპიდემიის გაჩენის უდიდეს საფრთხეს ჰქმნის.

6 თებერვლის დამანგრეველი მიწისძვრის მიზეზი, სეისმოლოგთა განმარტებით, ისაა, რომ სტიქიური უბედურების რაიონი აფრიკის, არაბეთისა და ანატოლიის სამი დიდი ტექტონიკური ფილის ერთმანეთზე შეცოცების რაიონს წარმოადგენს. ეს ბერძნების ერთ-ერთი მრისხანე ღმერთის, მიწისქვეშეთის მბრძანებლის პლუტინის აქტივობის ადგილია, გეოლოგიურად კი ის ხმელთაშუა ზღვის ნაოჭა სისტემის ფარგლებში მდებარეობს, რომელიც დედამიწაზე მიწისძვრების სიმძლავრით მეორე ადგილზეა წყნარი ოკეანის ეგრეთ წოდებული ცეცხლოვანი რგოლის სისტემის შემდეგ.

ზოგადად თუ ვიტყვით, თანამედროვე წარმოდგენით, მიწისძვრების მიზეზი დიდი თუ მცირე ტექნიკური ფილების ურთიერთზემოქმედების – ხახუნის, შეჯახების, შეცოცების – შედეგია, რომლებიც დედამიწის მანტიაში „დაცურავენ“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სეისმოლოგებში ჯერაც არის ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ რა ზომისანი არიან ესა თუ ის ფილები, თანაც ისინი მეტ-ნაკლებად ერთიან მონოლითურ გეოლოგიურ სხეულებს წარმოადგენენ და პატარ-პატარა „ტივებივით“ არიან. გარდა ამისა, მიწისძვრას შეიძლება ვულკანური გენეზისი ჰქონდეს. ხოლო თუკი ეს ოკეანეში მოხდება, მაშინ წარმოიშვება კიდევ ერთი ძალიან სახიფათო სტიქიონი – **ცუნამი,** და თუ ის რომელიმე სანაპიროსთან მეტ-ნაკლებად ახლოა, იქ საშინელებას დაატრიალებს. მაგრამ თუკი ოკეანის სივრცეებისკენ გაიმართება, მისი ენერგია თანდათანობით ჩაქრება. ნაპირზე კი **საფრთხეს უზარმაზარი ტალღის ნგრევის თვით პროცესი წარმოადგენს.** აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ძლიერი – 7-8 მაგნიტუდის – მიწისძვრასაც კი ადამიანისთვის ხმელეთზე რაიმე განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენს, **სახიფათოა ამ დროს, ვთქვათ, მთის ქანების ჩამოშლა, ანდა ნაგებობების ნანგრევებში მოყოლა.** იმასაც დავძენთ, რომ მიწისძვრების დროს უმთავრესად ინგრევა ძველი ამორტიზებული ანდა ახალი, მაგრამ სეისმოუსაფრთხოების ნორმების გაუთვალისწინებლად აგებული შენობები, თუმცა უფრო დეტალური ლაპარაკი ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება.

გეოგრაფიულად საქართველო დედამიწაზე მთათა გეოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სისტემის – კავკასიონის სამხრეთით მდებარეობს, რომელიც კვლავაც განაგრძობს ზრდას, ამდენად, მიწისძვრები ჩვენშიც არ არის უცხო რამ. თუკი საქართველოში მომხდარ მიწისძვრებს ისტორიულ ჭრილში მოკლედ მიმოვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათში 6 მაგნიტუდას მაინცდამაინც ბევრი არ სჭარბობდა, ამდენად განსაკუთრებით მხოლოდ რამდენიმეს გამოვარჩევთ. ესენია, კერძოდ, 1088 წელს სამცხე-ჯავახეთში მომხდარი მიწისძვრა, რა დროსაც არა მარტო საცხოვრებელი სახლები, არამედ, არსებული ცნობებით, საყდრებიც დაინგრა, ბიძგები კი მთელი წლის მანძილზე იგრძნობოდა.

მასშტაბური იყო ორი საუკუნის შემდეგ, 1283 წელს სამცხეში მომხდარი მიწისძვრა, რომელმაც ვარძია ისე დააზიანა, რომ მისი პირვანდელი სახე ჩვენთვის სამარადჟამოდ უცნობი დარჩება. დამანგრეველი იყო 1350 წელს რაჭა-ლეჩხუმში, 1530 წელს კახეთში და 1742 წელს კიდევ უფრო ძლიერი ახალქალაქის მიწისძვრები. 1920 წლის 20 თებერვალს მოხდა ცნობილი გორის მიწისძვრა, რომელმაც იქ თითქმის ყველა შენობა დაანგრია. ჩამოთვლილთა გარდა კიდევ აღსანიშნავია 1940 წლის მაისის ტაბაწყურის 6,0 მაგნიტუდის და 1991 წლის 22 აპრილის რაჭის 6,9 მაგნიტუდის უძლიერესი მიწისძვრები.

თურქეთსა და სირიაში 6 თებერვალს მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რამდენად უსუსურია ადამიანი სტიქიის მძვინვარე შემოტევის წინაშე. ამ ბუნებრივ მოვლენას არა მარტო ქალაქებისა და სოფლების დანგრევა და გარკვეული მხარის იერ-სახის შეცვლა, არამედ როგორც ზემოთ ითქვა, ცუნამის წარმოშობა და კიდევ ვულკანური აქტივობის არნახული გაძლიერებაც შეუძლია. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია დამანგრეველი მიწისძვრები, რომლებმაც არაერთი მაღალგანვითარებული ცივილიზაცია გაანადგურეს და ეს საფრთხე დღემდე არ გამქრალა. ამდენად, სავსებით ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს **მიწისძვრის პროგნოზს**, რომლის დახმარებით შესაძლებელი იქნება ადამიანთა მსხვერპლის მინიმუმამდე დაყვანა. ამის გაკეთება 2 ათასზე მეტი ხნის წინათ ჯერ კიდევ ჩინელებმა დაიწყეს, რომლებმაც პირველი სეისმოგრაფი შექმნეს. სამწუხაროდ, ადამიანებისთვის მომაკვდინებელი საფრთხის სავსებით თავიდან აცილება შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზით, რომ სეისმოლოგიური პროგნოზირება დღესდღეობით ერთობ არაზუსტი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობით ვერ ხერხდება მიწისძვრის ზუსტად დათარიღება, მისი ადგილის მითითება და სიმძლავრის განსაზღვრა. ამის გამო კი შეუძლებელია სახიფათო რაიონიდან ხალხის დიდი მასების უსაფრთხო ადგილებში გადაყვანა, რადგან არ ვიცით თავად ასეთი ადგილის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, გასაყვანი ხალხის ოდენობა, მათი დროებითი დაბინავების ხანგრძლივობა და, შესაბამისად, საჭირო პირობები და კიდევ უამრავი სხვა რამ, რაც, ყველა სიკეთესთან ერთად, უზარმაზარ ხარჯთანაა დაკავშირებული. თანაც, ყველაფერთან ერთად, პროგნოზის უტყუარობის არავითარი გარანტია არ არსებობს!

საერთოდ კი, ყოველწლიურად დედამიწაზე საშუალოდ 500 ათასი მიწისძვრა ხდება, რომელთაგან ადამიანებისთვის საგრძნობი დაახლოებით ყოველი მეხუთეა, მათგან ასს კი ამა თუ იმ ზიანის მოტანა შეუძლია.

სადღეისოდ **ცნობილია რამდენიმე სეისმური სენსორი, რომელთა მიხედვით გარკვეული სიზუსტით მაინც შესაძლებელია მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევის თუ ცუნამის მეტ-ნაკლებად მისაღებ დროში წინასწარ განჭვრეტა. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ სტიქიური უბედურების დროს დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა, დახოცილ ცხოველთა რიცხოვნობას საგრძნობლად, რამდენიმე ათეულჯერ, მეტადაც აღემატება. უწინ, ცხოველები ოდითგანვე სტიქიური უბედურებების მაცნეებად მიაჩნდათ.** მაგალითად, ძველ საბერძნეთში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცხოველების ქცევაზე დაკვირვებით სტიქიის შემოტევებს წინასწარმეტყველებდნენ. მსგავსი დაკვირვებების აუცილებლობა, როგორც ვთქვით, არც დღესდღეობით გამქრალა, თუმცა ისინი ნაწილობრივ თანამედროვე ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლეს.

თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში და ახალი ათასწლეულის დადგომის შემდეგაც, ამ საკითხისადმი სერიოზულ მეცნიერებს ერთობ ზერელე შეხედულება ჰქონდათ, მაგრამ ვითარება მკვეთრად შეიცვალა 2004 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფის შემდეგ, როცა 25 დეკემბრის გამთენიისას, ინდონეზიის კუნძულ სუმატრას ჩრდილოეთ სანაპიროს ცუნამი დაატყდა თავს, რასაც სულ მცირე 300 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. წყალმა მთელი ქალაქები და სოფლები დაფარა, და როცა ვითარება დაწყნარდა, მაშველებმა ძალიან ცოტა ცოცხალი ადამიანი და უამრავი ცხედარი იპოვეს, ამასთან გაირკვა, რომ გარეული ცხოველები თითქმის არ დახოცილან.

იხ. 8 გვ.

ეპიტროპის რისკვა

(მეშვიდე გვერდიდან)

გაირკვა, რომ ვიდრე ოკეანეში მომხდარი მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი ცუნამი ნაპირამდე მოაღწევდა, დაახლოებით ერთი საათით ადრე, ფაქტობრივად ყველა გარეულმა ცხოველმა ბუნაგებიდან თუ სოროდან ხმელეთის შიგნით გადაინაცვლეს. ამ დროს, სანაპირო ზოლის სიახლოვეს დარჩენილი ადამიანები – როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ტურისტები – ერთიანად ამოიხოცნენ. გადარჩენილ ერთეულ ადამიანთაგან კი ისინი აღმოჩნდნენ, ვინც მაღალ ხეებს შეაფარეს თავი, სადაც ასევე... უამრავი ქვეწარმავალი დაიმალა! ახლა უკვე ცნობილია, რომ ისინი მიწისძვრის მოახლოებას ძალზე კარგად გრძნობენ. 1984 წელს ყირიმის ცნობილ მიწისძვრამდე რამდენიმე საათით ადრე, სახლების კედლები, იატაკები და ჭერები... ხვლიკებით დაიფარა. 1975 წელს კი ჩინეთის პროვინცია ლიაოპინგში ზამთრის ძილში მყოფმა გველებმა სოროების მასობრივად დატოვება დაიწყეს, რასაც სუსტი მიწისქვეშა ბიძგები დაერთო. ამ უჩვეულო დამთხვევას ხელისუფლებმა ყურადღება მიაქციეს, ხალხის მასობრივი ევაკუაციის შემდეგ კი იქ 8-ბალიანი დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. **სადღეისოდ ეს ამბავი სეისმოლოგიის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევაა, როცა მიწისძვრის პროგნოზი ცხოველებზე დაკვირვებით მოხდა.**

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩინეთში მიწისძვრების ცოცხალი მაცნეების საკითხს მთელი სერიოზულობით უდგებიან. 1968 წელს იქ პირველი ექსპერიმენტული ბიოლოგიური სადგური დაარსდა, სადაც ამ მიმართულებით ცხოველებზე დაკვირვებები ხორციელდება. დღესდღეობით კი ქვეყანაში ასეთი სადგურების მთელი ქსელია გაშლილი.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამავე მიმართულებით 80-იან წლებში საკმაოდ სერიოზულად მეცნიერები სომხეთში მუშაობდნენ, რის მოწმე პირადად ამ სტრიქონების ავტორი გახლდით. თუმცა კი, სამწუხაროდ, მათ მიერ მიღებული შედეგების შესახებ ცნობები არ მომეპოვება.

მოახლოებულ მიწისძვრას, თურმე, „ეხმაურებიან“ სხვა ქვეწარმავლებიც: 1987 წლის 17 დეკემბრის ძლიერი მიწისძვრამდე, იაპონელმა დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ ნიანგებმა მეტად უჩვეულო „კონცერტი“ გამართეს – ისინი ძლიერ „გამაფთხილებელ“ ხმებს გამოსცემდნენ და ერთ ადგილზე მოუსვენრად წრიალებდნენ.

მეცნიერების აზრით, ქვეწარმავლების ასეთი მგრძნობიარობა მიწისძვრების მოახლოებისადმი, მათი ძლიერი მგრძნობიარობითაა გამოწვეული – ისინი ადამიანებისთვის შეუმჩნეველ ვიბრაციებს აღიქვამენ, რომლებიც უკიდურესად დაძაბულ-დაჭიმულ ქანებში წარმოიშვება. ასევე ვიბრაციას შესანიშნავად აღიქვამენ სპილოებიც, რომლებსაც მოსმენა არა მხოლოდ ყურებით, არამედ... ფეხებითაც შეუძლიათ, სადაც უამრავი ნერვული დაბოლოებაა თავმოყრილი. სხვათა შორის, მიწისძვრის მოახლოებას ძალიან კარგად ვირთაგვებიც გრძნობენ.

ყველაფერ ზემოთქმულს შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ სტიქიური კატასტროფების (მიწისძვრების, ცუნამის, წყალდიდობებისა და ა. შ.) მოახლოებას საუცხოოდ გრძნობენ მწერებიც – ჭიანჭველები და ტერმიტები: საფრთხის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე ჭიანჭველები თავიანთი ბუდის ქვედა სართულებიდან ზედებში ინაცვლებენ, ტერმიცები კი ბუდეებს სულაც ტოვებენ და.. მაღალ ხეებზე ცოცდებიან.

გარდა ამისა, მიწისძვრამდე ცოტა ხნით ადრე, თვითმხილველების თქმით, ატმოსფეროში გაურკვეველი ბუნების მანათობელი ბურთები, უცნაური სინათლის სანთლისმაგვარი სვეტე ან უჩვეულო ნათება ჩნდება (ეს 6 თებერვლის მიწისძვრის დროსაც დადგინდა). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი შეიძლება ეგრეთ წოდებული „პიეზოეფექტი“იყოს, რა დროსაც ქანებში წარმოშობილი მექანიკური დაძაბულობა ელექტრული ველის გააქტიურებას იწვევს, რაც შემდეგ სხვადასხვა გამოვლინებებით გამოიხატება.

ოთარ ტურაბელიძე

შიობა

23 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს შიობას. მისი ხსენება ყველიერის ხუთშაბათს აღინიშნება.

...სხალტბის ქედის ძირში სართულებად განლაგებული ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულის წინ მდებარეობს დიდებული ნაგებობათა კომპლექსი – შიომღვიმე.

შიომღვიმეს მონასტერი ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტერია, რომელიც დაუარსებია შიო მღვიმელს. VI საუკუნის მე-2 ნახევრის მოღვაწე, იოანე ზედაზნელის მოწაფე – შიო განათლებული, ფრიად განსწავლული, ღვთის მსახურთა და აზნაურთა შვილი იყო.

საგულისხმოა, რომ შიო დაემოწაფა იოანეს; ის ერთხანს სირიაში მოღვაწეობდა, შემდეგ მცხეთასთან გამოქვაბულში დაიდო ბინა. მან სახელი გითქვა, მომრავლდნენ მონაზვნები და საჭირო გახდა ეკლესიის დაარსება. ეკლესია მიუერთეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას. ეს მღვიმე იქცა დიდ სიწმინდედ და მას მონასტერსაც უწოდებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მონასტერს დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეფეები დავითი, თამარი და გიორგი...

მინაწერი: გვინდა შიობა მივულოცოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II მოსაყდრეს, დეკანოზ შიოს (მუჯირი) ეს დღესასწაული.

გიული ლიპარტია



ალმანახი, რომელიც ტრადიციას არ ღალატობს

ალმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს წიგნებსა და წიგნის შემქმნელებზე, ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე, ძიებებზე წიგნის სამყაროში, სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის მწიგნობრებზე – ეს ძირითადი პრინციპი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიური ორგანოს „მწიგნობარის“ სარედაქციო საბჭოსა და მის გამომცემლებს არც ამჯერად დაურღვევიათ და ალმანახის ერთგულ მკითხველს. როგორც ყოველთვის, გემოვნებიანი, პროფესიონალურ დონეზე გამოცემული და მეტად საინტერესო ნომერი შესთავაზეს. გამოვიდა, ალმანახის დაარსებიდან, რიგით 42-ე ნომერი – „მწიგნობარი – 22“.

ტრადიციულად, მკითხველს, ამჯერად მეტად საინტერესო პუბლიცისტიკა, კვლევები და საინტერესო ისტორიები ელით წიგნის სამყაროში, მსოფლიო ლიტერატურასა და ქართული კლასიკის გრწყინვალე წარმომადგენელთა ნაწარმოებების კვლევასა, თუ ცხოვრებისეული ისტორიების ჯერაც უცნობი ამბების მხრივ.

პროფესიონალი მკვლევრები გვამოგზაურებენ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, ნიკო ლომოურის, დავით კლდიაშვილის შემოქმედებასა თუ ცხოვრებაში. კრებულში მეტად საინტერესო კუთხითაა წარმოდგენილი რუსთველოლოგიური და გალაკტიონოლოგიური კვლევები **ნანა სულავას, ნანა დევიძისა** და **ნათია სიხარულიძის** პუბლიცისტურ წერილებში.

სარედაქციო საბჭომ ექსკლუზივის სახით შემოგვთავაზა **ლევან თაქთაქიშვილისა** და **დალი მაჩაიძის** წერილები ერთი ქართული იშვიათი წიგნის ისტორიისა, ეს გახლავთ საფრანგეთში, მაზარინის უძველეს ბიბლიოთეკაში დაცული „დავითნის“ უნიკალური ეგზემპლარის კვლევა. ვახტანგ VI-ის პირველ ქართულ სტამბაში 1709 წელს დაბეჭდილი **„დავითნის“** სრული, 306-გვერდიანი, კარგად შემონახული ეგზემპლარი. ფარულად გადაღებული ამ უნიკალური სიძველის ფოტოებით (ცნობისთვის ასეთი იშვიათი ცალის გადაღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული პირობების დაცვითა და კოლოსალური ანაზღაურებით).

„ჩვენი იუბილარების“ რუბრიკით ალმანახში წარმოდგენილია ცნობილი ქართველი პოეტი ქალისა და დისიდენტის **მარი აბრამიშვილის** ცხოვრების ტკივილიანი პასაჟები. მარი აბრამიშვილს 100 წელი შეუსრულდებოდა.

„წიგნის ბეჭდვის ისტორიის“ მოყვარულებს საოცარ სამყაროში გვამოგზაურებს **მაია მიქაბერიძე** წერილით – „მაქსიმე შარაძე და მისი „ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი კაბინეთი“ და **ქეთევან მერკვილაძე,** რომელიც თავის სასიქადულო წინაპრის, საზოგადო მოღვაწის, ბუკინისტის, გამომცემლისა და ფოლკლორისტის, სოსიკო მერკვილაძის ცხოვრების უცნობ ისტორიებს იგონებს.

* * *

„არიან ადამიანები, რომლებიც უჩუმარი ცხოვრებით ცხოვრობენ და მხოლოდ საკუთარი საქმისადმი ერთგულებითა და რუდუნებითი დამოკიდებულებით ტოვებენ ისეთ მემკვიდრეობას, რომლითაც რჩება – კვალი ნათელი, წარუშლელი, განუმეორებელი და მისაბაძი“ – ამგვარი სიყვარულით საუბრობს **მარიამ გაჩეჩილაძე,** ცნობილი ქართველი მხატვრისა და პედაგოგის **გოგი როინიშვილის** შესახებ, რომლის ნახატებითა და უნიკალური გრაფიკით ათობით საბავშვო თუ მოზრდილი მკითხველის საყვარელი წიგნები იყო დასურათხატებული და რაც მთავარია ჟურნალი „დილა“, რომლის წყალობითაც თაობებმა შეიყვარა წიგნის კითხვა. 1946 წლიდან, სამხატვრო აკადემიადამთავრებულმა და ომმოვლილმა მხატვარმა სწორედ ამ ჟურნალში დაიწყო მუშაობა და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მას. სწორედ ამ დიდებული მხატვრის შესახებ საინტერესო მოგონებებს წავიკითხავთ და ჩვენი ბავშვობისდროინდელ ილუსტრაციებსაც გავიხსენებთ რუბრიკაში „ყალმით და ფუნჯით“.

„უცხოეთის მერიდიანებში“ ვიხილავთ **ნინო ხვედელიძის** წერილს იტალიელი გენიოსის ფრაციისკო პეტრარკას შესახებ.

ალმანახ „მწიგნობარის“ მთავარი რედაქტორი გახლავთ **ლადო მინაშვილი,** საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელი **შოთა კობიაშვილი.**

მამუკა ვაშაკიძე

„რიგოლეტოს“ პრემიერა რევაზ კაკაბაძის ხსოვნას მიეძღვნა

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 1გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ პრემიერა.

ლიბრეტოს ავტორი ფრანჩესკო მარია პიავე. დაფუძნებულია ვიქტორ ჰიუგოს დრამაზე „მეფე ერთობა“.

მსოფლიო პრემიერა შედგა 1851 წლის 11 მარტს ვენეციაში. საქართველოში პრემიერა 1853 წელს გაიმართა.

სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებელს სიტყვით მიმართეს ქართული ვოკალური ხელოვნების გრწყინვალე წარმომადგენლებმა: ლიანა კალმახელიძემ, ელდარ გეწაძემ და იმერი კავსაძემ, მათ აღნიშნეს, რომ „ რიგოლეტოს“ პრემიერა ეძღვნება უდიდეს მომღერალის (ბარიტონს) საქართველოს სახალხო არტისტის, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტის რევაზ კაკაბაძის ხსოვნას. მას ოპერაში 40-მდე მთავარი პარტია აქვს შესრულებული, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მურმანის („ამესალომ და ეთერი“), ჩალხიას („მინდია“), რიგოლეტოს, დი ლუნას, ამონასროს, იაგოს (ვერდის „რიგოლეტო“, „ტუბადური“, „აიდა“, „ოტელო“), ტომსკის „ჩაიკოვსკის“ „პიკის ქალი“), და სხვა პარტიები.

რევაზ კაკაბაძე ფლობდა იშვიათი სილამაზისა და სიძლიერის ხმას. ხალხით გადაჭედილმა დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მის ხსოვნას. „რიგოლეტოს“ დამდგმელი დირიჟორი გახლავთ მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი ჟან ლუი გრინდა, სცენოგრაფი **რუდი სამუნგი,** სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი **მარინა ბურჭულაძე.**

ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ ბადრი მაისურაძე, მთავარი პარტიები შეასრულეს – მანტუის ჰერცოგი-გიორგი ონიანი, რიგოლეტო-სულხან გველესიანი, ჯილდა-სოფიო მჭედლიშვილი.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდმა და ორკესტრმა ვერდის გულშიჩამწვდომი მუსიკის ჰანგებით დაატკბო მსმენელი. რევაზ კაკაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საპრემიერო წარმოდგენა მქუხარე აპლოდისმენტებით დასრულდა. „რიგოლეტოს“ პრემიერის ბოლო დღეს მთავარი პარტია იმღერა ოპერის წამყვანმა სოლისტმა, ბარიტონმა მამუკა ლომიძემ. იგი გახლავთ ლა-სკალს მიწვეული სოლისტი. საპრემიერო ჩვენებამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

ნანა ჭიჭინაძე,
ოპერის მეგობარი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი**
განმახორციელებელი უწყება: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P173782**

კონტრაქტის № **KCIP/CS/ICS-02**
გამარჯვებული კონსულტანტი: **დავით თევზაძე**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **2023 წლის 20 თებერვალი**
შერჩევის მეთოდი: **ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა**
კონტრაქტის ღირებულება: **61,224.48 ლარი**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **1 წელი**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **გარემოს დაცვის სპეციალისტი.**

CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: **KAKHETI CONNECTIVITY IMPROVEMENT PROJECT (KCIP)**
Project Implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project number: **P173782**

Contract Reference No: **KCIP/CS/ICS-02**
Awarded Consultant: **David Tevzadze**
Contract Signature Date: **February 20, 2023**
Method of Selection: **Open Competitive Selection of Individual Consultants**
Contract Price: **GEL 61,224.48**
Duration of Contract: **1 year**
Scope of Contract: **Environmental Specialist**

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბერდია გოგიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბერდია გოგიჩაშვილი (პ/ნ 59001092595), გორი, სოფელი მეჯვრისხევი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გორი, სოფელი მეჯვრისხევი (საკადასტრო კოდი: 66.53.16.738https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 34282.51 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 22 თებერვალი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 7 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP86965923; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 869659

6. **მოვალე:** ბერდია გოგიჩაშვილი (პ/ნ 59001092595), გორი, სოფელი მეჯვრისხევი
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP86965923; ლოტის ნომერი: 869659).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 7 მარტის 12:00 საათამდე.

საქართველოს ერთიანული ბოტანიკური ბაღი მისი ყველა ღირსშესანიშნაობით დამთვალიერებლისთვის განსაკუთრებულ ადგილს რომ წარმოადგენს, ამ წერილის მკითხველისთვის უცხო ნამდვილად არ არის, რომ, ვინც ბაღს სტუმრობს, განსაკუთრებით ძვირფასია ის ურიამული, რომლითაც ბაღის პატარა დამთვალიერებლები ავსებენ საუკუნოვან ხეებში ჩაფლულ ციხიონებს.

მათ თავიანთი სტუმრობით სიცოცხლე და სიხარული მოაქვთ ისტორიულ ბაღში და ყველა თანამშრომლისთვის დამატებით სტიმულს ტოვებენ.

საქმეზე თავგადადებული გიდები ბოტანიკური ბაღის სამსახურში

ამ ულამაზეს ადგილს ბოტანიკური ბაღის გიდები საფუძვლიანად აცნობენ ყველა დამთვალიერებელს და ისეთ განწყობას უსაგზლებენ, რაც მათ ისევ უკან აბრუნებს და ამ ულამაზესი ადგილის კიდევ ერთხელ ნახვის სურვილს უტოვებს.

სამი ახალგაზრდა გიდი, ნინო ლორია, **თამარ კინწურაშვილი** და **ანდრია ხუციაძე** მუხლჩაუხრელად შრომობენ, რათა ყველა დამთვალიერებელმა მაქსიმალური კომფორტი იგრძნოს და ინფორმაციითა, თუ დადებითი ემოციით სავსე წავიდეს.

ნინო ლორია: საქართველოს ერთიანულ ბოტანიკურ ბაღში 2011 წლიდან ვმუშაობ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ცხოვრება აქ მაქვს გატარებული. ჩემი მშობლები ბაღში მუშაობდნენ და ცხადია მეც აქ დიდ დროს ვატარებდი, თუმცა უკეთეს ადგილას სად უნდა წავეყვანე? თავიდან ლაბორანტად დავიწყე მუშაობა და ჩემს ძირითად საქმიანობას ჰერბარიუმების შეგროვება და მათი შესაბამის პირობებში შენახვა წარმოადგენდა. შესაბამისი ტრენინგის გავლის შემდგომ უკვე სხვა კუთხით შევისწავლე მცენარეები, ბაღის ისტორია და ბაღში არსებული ტურისტული მარშრუტები. რა თქმა უნდა ამ მეტად რთულ საქმეში ჩემი მშობლების დიდი გამოცდილება ძალიან დამეხმარა.

თამარ კინწურაშვილი: ბაღში 2022 წლის შემოდგომაზე მოვედი. ტურიზმის სფეროში გარკვეული გამოცდილება მქონდა. ბაღს ბავშვობიდან ვიცნობ. ძალიან ხშირად დავდიოდი მეგობრებთან ერთად და ვთვლიდი, რომ თითქმის ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ როცა მუშაობა დავიწყე, აღმოჩნდა რომ ბევრი რამ არ მცოდნია და უკვე სხვა თვალით შევხედე აქაურობას, როგორც ისტორიულ ადგილს, სადაც უამრავი საინტერესო მცენარეა ერთად თავმოყრილი.

ძალიან საინტერესოა დამთვალიერებლებთან ურთიერთობა და განსაკუთრებით ბავშვებთან. მათი ინტერესი, სურვილი უფრო ჩაწვდნენ ყველა მცენარეს, დაინახონ ის დიდი ისტორია, რაც ბოტანიკურ ბაღს აქვს, ეს მართლაც დიდი სტიმულის მომცემია.

ანდრია ხუციაძე: – ბაღში 2015 წლიდან ვარ. ძირითადად ქართულ და ინგლისურენოვან სტუმრებთან მაქვს ურთიერთობა. ბაღის ისტორიის და მცენარეების გაცნობა, მათი შესწავლა იმ ფორმით, რომ დამთვალიერებელს გავაცნო, პირადად ჩემთვის ახალი საინტერესო აღმოჩენა იყო.

ყველა ტურისტი აუცილებლად მიმყავს პარტერზე, რადგანაც ის ბაღის ყველაზე გამორჩეული უბანია და გაზაფხულზე, რა თქმა უნდა, იასამნების ნაკვეთზე. ბავშვებს ძალიან უყვართ ე.წ. „ბეწვის ხიდი“. ეჩქარებათ იქ გავლა და მცირე ექსტრიმის განცდა. ნინოსთან და თამართან ერთად ხშირად გვისაუბრია არსებულ მარშრუტებზე და სამივე ვფიქრობთ, რომ საჭიროა დაემატოს ისეთი ბილიკები, რომლებიც დამთვალიერებელს უშუალოდ ბუნების წიაღის ნაწილად გახდის.

ძალიან ბევრი რამის თქმა სურდათ ჩვენს გიდებს, მაგრამ წაკითხულს ნანახი სჯობს და ისინი მუდამ მზად არიან მაქსიმალურად მოემსახურონ დამთვალიერებლებს, აზიარონ ისინი ბაღის ისტორიას, იმ სილამაზეს რაც საქართველოს ბოტანიკურ ბაღს თბილისის ბრილიანტად აქცევს და შინ დაბრუნებულებს გაატანონ ის სიყვარული, რაც ნინოს, ანდრიას და თამარს ულევად აქვთ.

გია გაბრიჭიძე

აჭარის მთავრობა 3 მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა-რეაბილიტაციას იწყებს

აჭარის მთავრობის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძემ** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 3 მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა-რეაბილიტაცია დააანონსა.

„უახლოეს პერიოდში, აჭარაში ტუბერკულოზის რეგიონულ ცენტრს, ბათუმის №1 პოლიკლინიკასა და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ბათუმის ცენტრს ახალი შენობები ექნებათ.

ბათუმის №1 პოლიკლინიკის შენობა ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. აღნიშნული შენობის რეაბილიტაციით გაუმჯობესდება 50 000-ზე მეტი პაციენტის სამედიცინო მომსახურება და მოსახლეობა ერთ სივრცეში შეძლებს ამბულატორიული, გადაუდებელი და სტაციონალური მომსახურების მიღებას. ამავე შენობაში, თანამედროვე/განახლებულ სივრცეში განთავსდება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ბათუმის ცენტრი. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ახალ შენობაში გადასვლით გაუმჯობესდება დაწესებულებაში დასაქმებული 160 ადამიანის სამუშაო პირობები.

ასევე, ტუბერკულოზის ამჟამინდელი შენობა ათეული წლების წინ არის აგებული და ვერ აკმაყოფილებს სრულყოფილი სერვისების მიწოდებისთვის საჭირო სტანდარტებს. ტუბერკულოზის ცენტრის ინფექციური საავადმყოფოს შენობაში გადასვლით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პაციენტების მომსახურების ხარისხი“, – აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ათვლა დაიწყო

მაშ ასე – ისტორია დაიწერა: საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, მთის ტრასების სააგენტოსა და ეროვნული სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით ბაკურიანში ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში დაწყებული მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ტრიუმფატორები პარალელურ გიგანტურ სლალომში იაპონელი ცუბაკი მიკი და პოლონელი ოსკარ კვიატკოვსკი გახდნენ.

რევაზ ნაზღაიძე მასპინძელთა ექვსეულიდან პირველი იყო, ვინც ძალები მოსინჯა და 50 მონაწილეს შორის 39-ე ადგილი დაიკავა, სულ კი 5 მარტის ჩათვლით კავკასიურ ფორუმზე 42 ქვეყნის 700-მდე წარმომადგენელი იასპარეზებს ზამთრის სპორტის 7 დისციპლინაში და ისინი მედლების 30 კომპლექტს გაითამაშებენ (26 ინდივიდუალური და 4 გუნდური).

აღსანიშნავია, რომ ორგანიზატორებს წყალობის თვალით ბუნებამაც გადმოხედა და მოვლენათა ეპიცენტრში თოვლიც წამოვიდა, თუმცა მოსამზადებელ პერიოდში განხორციელებული 270 მილიონი ლარის ინვესტიციის შედეგად შექმნილი უმაღლესი დონის ინფრასტრუქტურა ყოველგვარ უსიამოვნო სიურპრიზს გამორიცხავს.

დიახ, იქ აშენდა 3 ახალი საბაგირო (დიდველი), 29-კილომეტრიანი ხელოვნური გათოვლიანების სისტემა (დიდველი, კოხტა, მიტარბი), წყლის 2 ხელოვნური რეზერვუარი (დიდველი, მიტარბი), 6 ახალი საშეჯიბრო ტრასა, შეიძინეს სპეცტექნიკა და უსაფრთხოებისთვის გათვალისწინებული ინვენტარი, ხოლო სპორტსმენთა, ჟურნალისტთა და ტექნიკური პერსონალისთვის მოეწყო სპორტული სოფელი.

მოკლედ, ჰა თოვლი და ჰა მედლები.

◎ იმედი ხვალის...

ფიგურულ სრიალში საქართველოდან ევროპის პირველი ჩემპიონის – ანასტასია გუბანოვას ამასწინანდელი ტრიუმფის ფონზე შედარებით უხმაუროდ ჩაიარა იმავე პერიოდში 13 წლის ინგა გურგენიძის მოპოვებულმა გამარჯვებამ სლოვენიაში გამართულ გოგონათა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე – დრაგონ ტროფი და ტივოლის თასი 2023.

სისხლის ყივილი

მოდით, გამოვასწოროთ უნებლიე ლაფსუსი და ახლოს გავიცნოთ სამშობლოში დაბრუნებული ჩვენი ოლიმპიური იმედი.

იგი 2009 წლის 23 აპრილს ყაზანში დაიბადა. პირველი მწვრთნელის – ლუდმილა გაფაროვას შეგირდი საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგში 385 ქულით 134-ე ადგილზეა და შარშანდელ გაზაფხულამდე დედის გვარით ასპარეზობდა (ნიკიტინა).

თათრეთის რესპუბლიკის თასის მფლობელმა და იქაური დედაქალაქის ჩემპიონმა, რომელიც რუსეთის იუნიორთა პირველობაშიც მონაწილეობდა, წარმატებებს უკვე ჯვაროსანთა სახელითაც მიაღწია: ბოსფორის თასზე მე-2 ადგილი დაიკავა, რიგაში თანატოლთა გრან პრის მე-3 ეტაპზე მე-4 იყო, ხოლო მე-7 ეტაპზე იტალიაში, სადაც 37 ქვეყნის 44 წარმომადგენელი შეიკრიბა, ბრინჯაო დაიმსახურა, თანაც ევროპელთაგან როგორც მოკლე, ისე თავისუფალ პროგრამებში ყველას აჯობა.

მოკლედ, ინგა ზურაბის ასული გურგენიძე თანდათან ყინულის ვარსკვლავად ყალიბდება, მორიგ უახლოეს უმნიშვნელოვანეს გამოცდას კი 27 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით კანადის ქალაქ კალგარიში ჩააბარებს, სადაც მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ისრიალებს.

შთამბეჭდავი კარიერა ვუსურვოთ ურთულესი სამმაგი ნახტომების ნორჩ დიდოსტატს.

◎ ოვალური ბურთი

ლევან მაისაშვილი: რაც დავგეგმეთ, შევასრულეთ

გორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი, რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში ესპანეთთან 41:3 გამარჯვების შემდეგ, გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ესპანეთის სტუმრად სარეკორდო სხვაობით დამარცხებაც შეეძლო, მაგრამ ირლანდიელმა მსაჯმა მატჩის მიწურულს 13 კაცით გატანილი ლელო გაგვიუქმა და მხოლოდ 38-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა, სარეკორდო გამარჯვება კი (ესპანეთში გამართულ შეხვედრებში) 2009 წელს მადრიდში მოვიპოვეთ – 55:11.

საგულისხმოა, რომ ტორელავეგაში გამართულ მატჩში, ჩვენი გუნდის მიერ გატანილი 7 ლელოდან 6 ხაზის მოთამაშეებზე (აკა ტაბუცაძე 2, თედო აბჟანდაძე, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, დავით ნინიაშვილი) მოდის, ერთი კი ბექა გიგაშვილის ანგარიშზეა. გუნდმა თითქმის მთელი 80 წუთი ხელდახელ, მაღალ ტემპში შეტევებში გაატარა, ეპიზოდებში კი, დაცვაში გაუვალ კედლად აღიმართა და მეტოქეს პრესტიჟის ლელოს გატანის საშუალება 12 კაცის ამარაც არ მისცა.

„წელს ეს ჩვენი გუნდის მესამე თამაში იყო და ლოგიკურია, კარგი ხარისხი რომ ვაჩვენეთ. ყველაზე კარგი ისაა, რომ გუნდს გათვითცნობიერებული აქვს, რამდენად მნიშვნელოვანია დავალებების შესრულება. ერთადერთი, რითაც უკმაყოფილო ვარ დისციპლინაა. მსაჯის გადაწყვეტილებები ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, თუმცა ამ კუთხით სამუშაო გვაქვს. რაგბი ევროპაზე რატომღაც მსაჯები ჩვენს მიმართ გადამეტებულ სიმკაცრეს იჩენენ, მაგრამ აუცილებლად უნდა ვისწავლოთ ემოციების მართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო მაღალი დონის გუნდი ამდენ შეცდომას არ გვაპატიებს.

როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში, რაც დავგეგმეთ, შევასრულეთ და ბევრი კარგი მომენტი გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი გადახალისებული შემადგენლობით დაგვიხვდა, ის ჩვენთვის მუდამ იყო და რჩება სახიფათო მოწინააღმდეგედ, გუნდად, რომელიც ყოველთვის ბოლომდე იბრძვის, განსაკუთრებით საკუთარი გულშემატკივრის წინაშე და ჩვენ მათ წარმატების არანაირი შანსი არ დავუტოვეთ, რაც ნამდვილად იძლევა კმაყოფილების საბაბს“ – ამბობს მაისაშვილი, რომლის მიზანი რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-15-ედ მოგებასთან ერთად, გუნდის მსოფლიო თასისთვის მომზადებაა:

„პირველი ორი კვირა თამაშისთვის არატიპიური დატვირთვები გვქონდა, რადგან ვცდილობთ ეს პერიოდი მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ. რაგბი ისეთ დონეზეა, რომ თუ ფიზიკურად არ ხარ მზად, შესაძლოა ტემპს და დატვირთვებს ვერ გაუძლო. ირლანდიისა და საფრანგეთის შეხვედრაში ბურთი თამაშში 46 წუთი იყო, რაც დაუჯერებელი ციფრია. ჩვენი მიზანი ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო თასისთვის მზადებაა, რაც ადვილი არ არის“.

შეხვედრის მიწურულს გუნდის კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ მცირე დაზიანების გამო მოედანი ნაადრევად დატოვა, თუმცა მისი ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს. ამ მიზეზით გორჯღალოსნებს მეტოქის ბოლო შეტევის მოგერიება 12 კაცით მოუწიათ:

„არ გავრისკეთ და შარიქაძე მოედნიდან გავიყვანეთ, მიუხედავად იმისა, რომ ის წინააღმდეგი იყო. 12 კაცით არ დავრჩებოდით, რომ არა მსაჯის უცნაური გადაწყვეტილება, რომელმაც გატანილი ლელო გაგვიუქმა და მოედნის ცენტრში ჯარიმა დანიშნა, თანაც ისე, რომ სერგო აბრამიშვილს ყვითელი ბარათი აჩვენა, არადა ის ამ ეპიზოდთან საერთოდ არ იყო კავშირში. მეტოქე მოლში აშკარა თამაშგარიდან თამაშობდა და ის ძალისმიერად გავიყვანეთ. ასევე საეჭვო იყო გელა აფრასიძის სინბინი, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ესპანელთა დარღვევებზე მსაჯს რეაგირება არ ჰქონდა.

შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მაგრამ ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად და ვარჯიშებზე განვიხილავდით სცენარს, როგორ უნდა გვემოქმედა, თუ მოედანზე კაცნაკლული დავრჩებოდით. გუნდი მზად არის უარესი ვარიაციებისთვის და სწორედ ამიტომ, შეცვლებს დაგეგმილზე უფრო ადრე ვაკეთებთ, რაც ტრავმის დროს ერთგვარი რისკია და ასე მოხდა შარიქაძის შემთხვევაში. მისი შემცვლელი უბრალოდ არ გვყავდა, მაგრამ ფაქტია, გუნდმა 14, 13 და 12 კაცის ამარა, თავი კარგად დაიცვა და ესპანეთს ლელო არ გაატანინა“.

მას შემდეგ, რაც პორტუგალიამ რუმინეთი 38:20 დაამარცხა, ცხადი გახდა, რომ 5 მარტს, ნახევარფინალში რუმინეთს ვუმასპინძლებთ:

„მოთამაშეები გუნდებში გავუშვით და ნახევარფინალისთვის კვირიდან შევიკრიბეთ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსამზადებლად 6 დღე გვექნება, რადგან ჩვენ ვუფრთხილდებით მოთამაშეებს და პირველი ორი დღე ადაპტაციასა და აღდგენას დაეთმობა. ადვილი არ არის ასეთი დატვირთვების და გადაფრენების შემდეგ ენერგიის აღდგენა. მომავალი შეხვედრისთვის გაფართოებულ შემადგენლობაში მცირე ცვლილებები თუ გვექნება“.

◎ ოკეანის გაღმა-გამოღმა

გენერალური რეპეტიცია

მართალია, საეტაპო მნიშვნელობის მოვლენამდე – ვიმედოვნებთ, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებამდე – რამდენიმე დღე გვაშორებს, მაგრამ გასულ უქმეებზე ერთი ისტორიული საკალათბურთო ფაქტი მაინც მოხდა.

საუბარია **სანდრო მამუკელაშვილზე,** რომელმაც ქართველთაგან პირველმა ნბა-ს განვითარების ლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩში ითამაშა. მეტიც – ელიტის მოქმედი ჩემპიონის მილუოკის ჩვენებურმა ლეგიონერმა შოუში მონაწილეობა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა – მოგებულ გუნდს მან 8 ქულა და 12 მოხსნა შეაწია.

ეროვნულ ნაკრებთან შეერთებამდე მისი ლიდერები ახლოს იყვნენ სათასო ტიტულებთან, მაგრამ ფინალური მატჩები დათმეს, თუმცა პირადი პოტენციალი ამჯერადაც ღირსეულად წარმოაჩინეს.

ესპანეთი. უნიკახა – ტენერიფე 83:80. **გიორგი შერმადინი.** 20 ქულა, 9 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა (32 წუთში).

იტალია. ბრეშია – ვირტუსი 84:76. **თორნიკე შენგელია** – 12 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი (28 წუთში)..

დავძენთ, რომ ჯვაროსნები ილიას ზუროსის თავკაცობით სრული შემადგენლობით უკვე ნიდერლანდებში არიან და ხვალ 22 საათსა და 30 წუთზე (თბილისის დროით) მასპინძლებს ქალაქ ალმერეში შეხვდებიან, პირდაპირ ტელეერეპორტაჟს ტიტების ქვეყნიდან კი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგვთავაზებს.

რაც შეეხება განვლილი კვირის გვირგვინს, ნაღდი ოლ სტარი იანის ანტენტოკუნმპოს გუნდმა 184:175 მოუგო ლებრონ ჯეიმსის რჩეულებს. საანახაობის MVP ჯეისონ ტეიტუმი გახდა – 55 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი, ხოლო სამქულიანების კონკურსში დემიენ ლილარდმა იპირველა.

– ორიოდე სიტყვით –

ჭიდაობა

პოლონეთი. 23-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი სოსო ჯაბიძე, მწვრთნელები მიხეილ მელუა და მარად სურმანიძე) – 11 მედალი: **ოქრო** – გიორგი შოთაძე (63); **ვერცხლი** – დიმიტრი ხაჩიძე (60), ცოტნე ანანიძე (77), ლაშა ტვილდიანი (97); **ბრინჯაო** – რომეო ბერიძე (60), დიეგო ჩხიკვაძე (67), გიორგი ჩხიკვაძე (72), საბა მამალაძე (82), აჩიკო ბოლქვაძე (87), ლუკა გაბისონია (97), გიორგი ცოფურაშვილი (125).

ძიუდო

ტაშკენტის გრანდ სლემი (3-5 მარტი). საქართველოს ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა: ლუხუმ ჩხვიმიანი (60), ბაგრატ ნინიაშვილი (66), ლევან გუგავა (81), ბექა ღვინიაშვილი და უშანგი მარგიანი (90), ონისე სანებლიძე და ვარლამ ლიპარტელიანი (100), გელა ზაალიშვილი (+100); ეთერ ლიპარტელიანი (57), სოფიო სომხიშვილი (+78).

მომდევნო გრანდ სლემს 24-26 მარტს თბილისი უმასპინძლებს.

ვითომ?

ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენი გამოკითხვა ამერიკული ანალიტიკური კომპანია მორნინგ კონსალტის ვერსიით.

1. მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი) – 19 პროცენტი; 2. ტომ ბრეიდი (ამერიკული ფეხბურთი) – 12 პროცენტი; 3. მუჰამედ ალი (კრივი) – 8 პროცენტი; 4. ბეიბ რუთი (ბეისბოლი) – 7 პროცენტი; 5. კობი ბრაიანტი (კალათბურთი) – 5 პროცენტი; 6-7. ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი) და ტიმ ტორპი (მძლეოსნობა) – 4-4 პროცენტი; 8-10. ლეო მესი (ფეხბურთი), პელე (ფეხბურთი), სერენა უილიამსი (ჩოგბურთი) – 3-3 პროცენტი.



ვაჟა შუბლაძე

კაცი, რომელიც დააკლდა ქვეყანას!

გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ვაჟა შუბლაძე.

დაიბადა 1947 წლის 5 იანვარს ქალაქ თბილისში, იმერულ, ტრადიციულ, ოჯახში, სადაც სიყვარულით გაიზარდა თავის უფროს ძმა ბორისთან და დაიკო ნარგიზთან ერთად. მის აღმატებულ და გაცისკროვნებულ მომავალს მყარი საფუძველი ჩაუყარეს შესანიშნავმა მშობლებმა, გამოჩენილმა ფარმაცევტმა დავით შუბლაძემ და ქალბატონმა თინა ციბაძემ... სიყმაწვილის დროს არდადეგებზე სოფელ ფარცხანაყანებში თვეობით გატარებულმა დაუვიწყარმა პერიოდმა, სადაც იგი ეზიარა ქართული სოფლის მადლს, მიწის სურნელს, შრომისა და გარჯის ფასს.

ვაჟა შუბლაძემ 1964 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 61-ე საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ჩარიცხულ აბიტურიენტთა შორის ერთადერთი იყო, ვინც მისაღებ გამოცდებზე ხუთივე საგანში ფრიადი შეფასება დაიმსახურა და ჩაირიცხა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე.

სტუდენტობის დროს იგი იყო წარჩინებული სტუდენტი, სახელობითი სტიპენდიატი. ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად არჩევისას, მან გამოავლინა ლიდერის თვისებები და დიდი ორგანიზატორული უნარი, რაც განსაკუთრებით გამოჩნდა ჟიული შარტავასთან ერთად ყაზახეთში, სტუდენტურ ყამირზე 800-კაციანი რაზმის სამაგალითოდ და წარმატებით ხელმძღვანელობისას.

1969 წელს, ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ბატონი ვაჟა სამუშაოდ დატოვეს გამოთვლითი ტექნიკის პრობლემური ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკად, მაგრამ იგი მალევე გადაიყვანეს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტში სტუდენტი-ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, ხოლო 1970-1973 წლებში იგი მუშაობდა კომკავშირის მთაწმინდის რაიკომის პირველ მდივნად. საბჭოთა პერიოდში, როცა აკრძალული იყო პატრიოტიზმისა და საკუთარი ეროვნული განსაკუთრებულობის გამოვლენა, მან შექმნა „ფანტასტთა კლუბი“, სადაც თავი მოუყარა ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს, პოეტებს, რომლებიც მსჯელობდნენ ცივილიზაციის წარმოშობის, ქართული ფესვების, მისი კულტურის და დამწერლობის შესახებ.

1973-1981 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარედ, 1981-1988 წლებში საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, იგი გადაიყვანეს მინისტრთა საბჭოს კანცელარიის მმართველის პირველ მოადგილედ. ყველგან, სადაც ის საქმიანობდა იყო ყოველმხრივ გამორჩეული მოღვაწე და უდიდესი ორგანიზატორი.

ქართული სპორტისთვის განსაკუთრებით მძიმე და რთულ პერიოდში, 1992-1998 წლებში, როგორც პრეზიდენტი, სათავეში ჩაუდგა ჭადრაკის ფედერაციას და შეიძლება ითქვას მკვდრეთით აღადგინა, ააღორძინა იგი და ქართველი გოგონები ზედიზედ ორჯერ გახდნენ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონები.

1998-2004 წლებში ვაჟა შუბლაძე მუშაობდა საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. მან საფუძველი ჩაუყარა ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის - ტურიზმის სწორ განვითარებას და საბედნიეროდ ტურიზმი საქართველოში დღეს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ვაჟა შუბლაძემ სამეცნიერო დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში მოიპოვა თემაზე: „საქართველოში ტურიზმის მიკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი სიღარიბის დაძლევის კონტექსტში“. იგი ოთხი წიგნის და 20 სამეცნიერო შრომის ავტორია.

ვაჟა შუბლაძის ხელმძღვანელობით და პარლამენტის მხარდაჭერით შეიქმნა უნიკალური დოკუმენტი: „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივი ჩაბმის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - ჯანსაღი სკოლისთვის“, რომელიც სამწუხაროდ დღემდე ვერ ეღირსა დანერგვას.

ვაჟა შუბლაძის გენერალური მენეჯერობით, უდიდესი შრომის ფასად შეიქმნა საერთაშორისო პროექტი „ბორჯომი — 2014“, რომლითაც მომავალში ოლიმპიურ მარათონში საქართველოს ჩასართავად ფუნდამენტი მყარადაა მომზადებული.

ვაჟა შუბლაძე იყო სულით და ხორცით ლამაზი კაცი, კოლორიტული პიროვნება, უბადლო თამადა...

მაღალი იერარქიული სამსახურეობრივი საფეხურების დროს, ასევე როგორც მეგობარი, ვაჟა შუბლაძე ყოველთვის იყო მოკრძალებული, თავმდაბალი, თავაზიანი, გულისხმიერი, ყველასთვის უანგარო მზრუნველი და სიკეთის მთესველი.

ვაჟა შუბლაძის ამქვეყნიურ წარმატებებში უდიდესი როლი და ადგილი ეკუთვნის მის უსაყვარლეს და უსათნოეს მეუღლეს, ქალბატონ ანინე ჯვარშეიშვილს, რომელიც უანგარო სიყვარულით, ნიჭიერებით და გონიერებით 54 წელიწადი მკვიდრ ბურჯად ედგა მხარში უძვირფასეს მეუღლეს, შესანიშნავ შვილებს, გამორჩეულ შვილიშვილებს, გიორგის, ანოს და ნიკოლოზს.

საქართველოში კარგად იცნობენ, საზოგადოების სიყვარულს და დიდ პატივისცემას იმსახურებს ვაჟას და ანინეს უმშვენიერესი ქალიშვილი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორის მოადგილე ნინო შუბლაძე.

ბატონ ვაჟასა და ქალბატონ ანინესთვის, ორი წლის წინ საოცრად მძიმე აღმოჩნდა ცხოვრების მიმწუხრის ჟამი, უსაყვარლესი უფროსი ქალიშვილის, საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწის და ბიზნესმენის სოფო შუბლაძის მოულოდნელი გარდაცვალება!..

ვაჟა შუბლაძე, როგორც გამორჩეული პიროვნება, ყოველმხრივ ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ვაჟა შუბლაძის სახელს დავიწყება არ უწერია!..

მეგობრები:

გივი აბდუშელიშვილი, ამირან აბესაძე, გივი აბზიანიძე, ნანა ალექსანდრია, ზურაბ ასათიანი, ვალერი ასათიანი, გიორგი ასანიძე, გურამ ახალაია, მერაბ ახობაძე, გიზო ბაძანიძე, თემურ ბერეკაშვილი, თამაზ გაბუნია, ზაურ გამსახურდია, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, მანანა გოჩალეიშვილი, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, გურამ დიდბარიძე, სანდრო დიდებულიძე, შოთა დოღონაძე, ზურაბ ერძვანია, ემზარ ზენაიშვილი, გივი თალაკვაძე, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, ნუგზარ კახიშვილი, ანზორ კვარაცხელია, შოთა კოხრეიძე, ჯემალ კუხალაშვილი, მიხეილ კუხალაშვილი, გიზო კუხალაშვილი, ნიკო ლეკიშვილი, ანზორ ლოგჟანიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, მურთაზ მამისეიშვილი, ავაზ მემანიშვილი, ირაკლი მენაღარიშვილი, ლევან მერაბიშვილი, თემურ მჟავანაძე, პაატა ნაცვლიშვილი, ნატო ომიაძე, სოსო ორჯონიკიძე, დავით სალარიძე, გიორგი სალუქვაძე, ნოდარ სარჯველაძე, ომარ სიამაშვილი, გორის სიჭინავა, ნუგზარ ფოფხაძე, მირზა ქორქაშვილი, თამაზ ყიფიანი, ციური ყორშია, გრიგოლ შონია, გორის ფოცხვერაშვილი, ოთარ წეროქე, მერი წიკლაური, ნოდარ ჭითანავა, ილია ხუციშვილი, სპარტაკ ქოგულია.



მეუღლე ჯუმბერ, შვილი ნანა ნიკოლაიშვილები, რძალი თათა ქაჩიბაია, შვილიშვილები სალომე, ელენე, ელისო კასრაძეები, თორნიკე, ლაშა ნიკოლაიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ ზამთარაძე-ნიკოლაიშვილი

პანაშვიდი 22 თებერვალს; დაკრძალვა: 23 თებერვალს (ხუთშაბათს), 14:00 საათზე, მისამართი: ზ. ფალიაშვილის №6, II სადარბაზო, მე-11 სართული, ბინა 60.

ვახტანგ და თემურ ვეფხვაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან რძლის

ეთერ ზამთარაძე-ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ესეგუასთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვენ

პროკურატურა „საქართველოს ბანკის“ ყაჩაღობაში ბრალდებულ ბადრი ესეგუასთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს. აღნიშნული შუამდგომლობა პროკურორმა მირანდა წერეთელმა სასამართლო პროცესზე დააყენა.

ასევე საქმის პროკურორებმა ბრალდებულისგან სუნის და ხმის ნიმუშის აღება მოითხოვეს, რაც დამატებით მტკიცებულებებად საქმეს დაერთვება. ესეგუას ადვოკატებმა შუამდგომლობაზე საპასუხოდ დრო ითხოვეს. მომდევნო პროცესი დღეს 22 თებერვალს ჩატარდება. სასამართლო სხდომას ესწრებოდა თავად ბადრი ესეგუა. მან მხოლოდ ის თქვა რომ ბრალს არ აღიარებს.

მეუღლე ანინე ჯვარშეიშვილი, შვილი ნინო შუბლაძე, სიძე ვალერი თელია, შვილიშვილები გიორგი, ანო, ნიკოლოზი, ძმა ბორისი, და ნარგიზა შუბლაძეები ოჯახებით იუწყებიან

ვაჟა შუბლაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 22 თებერვალს, მისამართი: კოსტავას ქ.75ა, V სადარბაზო, VI სართული.

დაკრძალვა 23 თებერვალს, 15 საათზე, გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

ეროვნული ერთიანობის ცენტრი — ჟიული შარტავას საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი

ვაჟა შუბლაძე

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

დღეს, მწერლის სახლში!

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება

ვისაც გული შეგტკივათ ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების მედზე, ვისაც გაწუხებთ ჩვენს ქვეყანაში ფსევდოხელოვანთა, ცრუმეცნიერთა, ცრუაკადემიების, საახლობლო ჯილდოების სოკოებივით მომრავლება... მწერლებს, მეცნიერებს, მხატვრებს, მუსიკისა და ხელოვნების სხვა სფეროთა წარმომადგენლებს, 22 თებერვალს, ოთხშაბათს, 18 საათზე, მაჩაბლის ქუჩა №13-ში, საქართველოს მწერალთა სახლში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება გიწვევთ დისკუსიაზე: საქართველოს ინტელექტუალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

შესავალი სიტყვა:

რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი დავით შემოქმედელი.

გამომსვლელები:

რუსთაველის საზოგადოების ენობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ავთანდილ არაგული.

რუსთაველის საზოგადოების კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი;

რუსთაველის საზოგადოების მრჩეველი, არქიტექტორი, აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია;

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე.

დასწრება თავისუფალია.

განცხადება

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს სამ ვაკანტურ ადგილზე აკადემიის წევრად ასარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს ან მათთან გათანაბრებულ პირებს,რომელთაც შექმნეს საერთაშორისო აღიარების მქონე ახალი სამეცნიერო მიმართულება და აღზარდეს შესაბამისი პროფილის მქონე ექიმი სპეციალისტები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა აკადემიის ოფისში (თბილისი, კ. ჩაჩავას ქ,1) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიების სახით:

აკადემიის პრეზიდენტის სახელზე შედგენილი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ., პირადობის მოწმობის ასლი., მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი., საექიმო სპეციალობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი., უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადასტურებული სამეცნიერო შრომათა სია., ავტობიოგრაფია., სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის ანგარიში., საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამი წევრის მიერ შედგენილი პრეტედენტის სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის შეფასება.

ამ წევრებიდან ორი მათგანი აკადემიის იმ განყოფილების წევრი უნდა იყოს, რომელიც შეესაბამება პრეტენდენტის სპეციალობის პროფილს.

საგუთების მიღება დაიწყება 1 მარტს და დამთავრდება 31 აპრილს.

ლეგენდარული მედეა ჯაფარიძის გახსენება

თეატრისა და კინოს მსახიობ მედეა ჯაფარიძის დაბადებიდან 100 წელი გავიდა. მსახიობის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა მულტიმედიური გამოფენა მოამზადა.

ეროვნულ არქივში დაცული ფონდებიდან ინტერნეტსივრცეში მედეა ჯაფარიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი კინომასალა, ფოტოები, წერილობითი დოკუმენტები და ავტოგრაფები გამოქვეყნდა. ექსპონატებს შორისაა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებში, ასევე, მხატვრულ ფილმებში მსახიობის მიერ შესრულებული როლების ფოტოები, კინოსიუჟეტი „ქეთო და კოტეს“ გადასაღები მოედნიდან, ნაწყვეტი თეატრალური სპექტაკლიდან „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“, მისი ავტობიოგრაფია და სხვა.

ვარსკვლავი ოპერის მომღერალს

ქართული საოპერო ხელოვნების გამორჩეულ მოღვაწეს მარიამ ჯახუტაშვილს ბათუმის ხელოვნების ცენტრის ალეაში ვარსკვლავი გაუხსნეს.

მარიამ ჯახუტაშვილი აჭარის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი სოლისტი, ხელოვნების დიდოსტატი და „საპატიო ბათუმელია“. შესრულებული აქვს არაერთი პარტია ფალიშვილის, ვერდის, ჩაიკოვსკის, და სხვა კლასიკოსების ოპერებიდან. ასევე იყო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი. დღეს მარიამ ჯახუტაშვილი პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. არის ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და ხელს უწყობს აჭარაში საოპერო ხელოვნების პოპულარიზაციას.

„ბუშტის ძაღლი“ ერთი ეგზემპლარით შემცირდა

მაიამიში, არტ-ბაზრობაზე ქალმა გამოფენაზე შემოხვევით გატეხა ფაიფურის ქანდაკება, რომელიც 42 000 დოლარი ღირდა.

საუბარია ამერიკელი პოპ-არტისტის, ჯეფ კუნსის ქანდაკებაზე „ბუშტის ძაღლი“. ქალი ექსპონატს თითით შეეხო, რის შემდეგაც ძაღლი დაეცა და დაიმსხვრა. მის ვინაობას არ ამხელენ, თუმცა ცნობილია რომ



ის ხელოვნების კოლექციონერია. ჯეფ კუნსს არაერთი ასეთი ძაღლი აქვს შექმნილი, რომლებიც ზომით განსხვავდება. გალერეის წარმომადგენელმა სედრიკ ბოერომ იხუმრა, რომ მომხდარის შემდეგ „ბუშტის ძაღლების“ ქანდაკებების რაოდენობა 799-დან 798-მდე შემცირდა, რამაც მათი ღირებულება გაზარდა. **„ეს კოლექციონერებისთვის კარგია“,** – თქვა მან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

შიდსისგან მსოფლიოში მეხუთე ადამიანი განიკურნა

მკვლევრები აცხადებენ, რომ გერმანიაში 53 წლის კაცი აივ ინფექციისგან განიკურნა. ეს ვირუსისგან განკურნების მეხუთე შემთხვევაა.

მკვლევრების თქმით, დიუსელდორფელმა პაციენტმა მედიკამენტების მიღება შეწყვიტა, თუმცა მას ინფექცია არ აქვს.

„ეს ნამდვილად განკურნებაა, რემისიასთან გვაქვს საქმე, ეს პოზიტიური სიგნალია და ნიშნავს იმას, რომ კიდევ მევრი სამუშაო გვაქვს წინ“, – აცხადებს ექიმი მიორნ-ერიკ ოლე ჯენსენი.

„თანამედროვე მედიკამენტების წყალობით, აივ ინფიცირებულებს შეუძლიათ დიდხანს და ჯანმრთელად იცხოვრონ. დიუსელდორფელი პაციენტი შეუერთდება ადამიანთა მცირე ჯგუფს, რომლებიც ექსტრემალურ პირობებში ღეროვანი უჯრედების გადანერგვის შემდეგ ინფექციისგან განიკურნენ. როგორც წესი ღეროვანი უჯრედების გადანერგვა მხოლოდ სიმსივნით დაავადებული პაციენტების შემთხვევაში კეთდება.

ღეროვანი უჯრედების გადანერგვა არის მაღალი რისკის პროცედურა, რომელიც ცვლის ადამიანის იმუნურ სისტემას. უპირველესი მიზანია კიბოსგან განკურნება, მაგრამ პროცედურამ ასევე დადებითი ეფექტი გამოიწვია და აივ ინფიცირებული პაციენტებიც განიკურნენ“, – წერს მედიასაშუალება.

მსოფლიოში დაახლოებით 38 მილიონზე მეტი ადამიანი აივ ინფიცირებულია და მკურნალობას გადის. აივ ინფექციით განკურნებული პირველი ადამიანი ტიმოთი რეი ბრაუნია.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 24 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6385; ევრო - 2.8198;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1736;
100 რუბლი - 3.5576; თურქული ლირა - 0.1399;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5521;
1000 სომხური დრამი - 6.7309

ამინდი 22 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+6
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge